კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი მედიამონიტორინგის შედეგები

(03.09.2021 – 02.10.2021)

კომუნიკაციების კომისია 2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2021 წლის 03 სექტემბრიდან 02 ოქტომბრის პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 საერთო საეთერო ეროვნული მაუწყებლის თვისებრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი. აღნიშნული სამაუწყებლო არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, ტელეიმედი, ტელეკომპანია პირველი და მთავარი არხი. საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი მიმდინარეობდა საუკეთესო დროს, კერძოდ 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგი მთელი დღის განმავლობაში.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

ა) წინასაარჩევნო რეკლამა;

ბ) წინასაარჩევნო დებატები;

გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;

დ) წინასაარჩევნო აგიტაცია;

ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, კონკურსის წესით სპეციალურად შერჩეული პირები ახორციელებდნენ.

კომუნიკაციების კომისიის მონიტორები სპეციალური ტრენინგის ფარგლებში ევროპის საბჭოს მედიაექსპერტმა, ორგანიზაცია „მემო 98“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა რასტო კუზელმა გადაამზადა. ექსპერტმა მონიტორებს, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თვისებრივი მედიამონიტორინგის განხორციელების თავისებურებები და სპეციფიკა გააცნო. მონიტორებმა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად გაიღრმავეს ცოდნა წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ჩატარებაში.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინასაარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე

განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირების საგანია ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული არხების მონიტორინგი მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ ნაწილს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს სუბიექტისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას და გაშუქების ტონს. <u>**პირდაპირ**</u> დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, <u>**ირიბად**</u> დათმობილი დროის ფარგლებში, გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო. როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გაშუქებისას მონიტორის მიერ ხდება გაშუქების ტონის შეფასება სამი კატეგორიის შესაბამისად: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური.

მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ასევე ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც, კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

თვისებრივი მონიტორინგის დროს მაუწყებლზე დაკვირვება ხორციელდება შემდეგი სამაუწყებლო სტანდარტების ჭრილში: ბალანსი, სიზუსტე, რელევანტურობა, სიცხადე, მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, სიძულვილის ენა, ყალბი ამბები, დისკრიმინაცია და ვიზუალური/აუდიო მანიპულაცია.

<u>**ძირითადი მიგნებები:**</u>

- „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ახალი ამბები გადმოიცემოდა მიუკერძოებლად, ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვებას, ჟურნალისტების მხრიდან პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას, სიძულვილის ენის გამოყენებას. საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურანლსიტები ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს უსვამდნენ კრიტიკულ შეკითხვებს. არხი ნეიტრალურად და დაბალანსებულად აშუქებდა ყველა

კვალიფიციური სუბიექტის წინასაარჩევნო აქტივობას, ასევე, ეთერს უთმობდა არაკვალიფიციურ სუბიექტებს.

არხი პირდაპირ ეთერში გადასცემდა სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების პრეზენტაციებს, ბრიფინგებს და სხვა წინასაარჩევნო აქტივობებს. გაკეთდა სპეციალური რუბრიკა, სადაც მაყურებელს ინფორმაციას აწვდიდნენ ქალაქების და მუნიციპალიტეტების შესახებ, ადგილობრივი პრობლემების შესახებ და მერობის სხვადასხვა კანდიდატების პროგრამული პრიორიტეტების შესახებ.

- საანგარიშო პერიოდში „აჭარის ტელევიზიის“ ეთერში, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება მიმდინარეობდა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულად, მშვიდ ტონებში. წამყვანები და ჟურნალისტები იცავდნენ ობიექტურ მიდგომას ყველა წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიმართ. ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვას და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებას, მომზადებული სიუჟეტები იყო დაბალანსებული.

  თითოეულ სიუჟეტში მხარეებს შორის დრო თანაბრად იყო განაწილებული, ყველა მონაწილეს ეძლეოდა საშუალება გამოეთქვა თავისი მოსაზრება. წინასაარჩევნო სიუჟეტები ძირითადად ამომრჩევლის ინფორმირებას ემსახურებოდა.

- „ტელეიმედის“ ეთერში განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობოდა “ქართული ოცნებისა” და მთავრობის პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენას. გამოიკვეთა აშკარა ნეგატიური განწყობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, რომელიც შეინშნებოდა როგორც გადაცემის წამყვანისა და სიუჟეტის ავტორების ტონში, აგრეთვე მომზადებული სიუჟეტების შინაარსში. საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ნეგატიური დამოკიდებულება გიორგი გახარიასა და პარტია “საქართველოსთვის” მიმართ.

  პირდაპირი ეთერი ეთმობოდა და აქტიურად შუქდებოდა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატების ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, მსგავსი ხარისხითა და სიხშირით სხვა არცერთი წინსაარჩევნო სუბიექტის აქტივობა მაუწყებელს არ გაუშუქებია. ადგილი ჰქონდა მანიპულაციის შემთხვევებს. ზოგადად არხზე გასულ ახალ ამბებში ისევე, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებში მოვლენები მიკერძოებულად შუქდებოდა.

- „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“აუდიტორიას აწვდიდა გადამოწმებულ და ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას. მონიტორინგის მსვლელობისას არ გამოვლენილა დეზინფორმაციის გავრცელებისა და მანიპულაციის შემთხვევები.

საინფორმაციო სიუჟეტებით მაყურებელს უმეტესწილად შესაძლებლობა ჰქონდა საკითხის გარშემო განსხვავებულ მოსაზრებებს გაცნობოდა. თუმცა, რიგ შემთხვევაში რაოდენობრივი ბალანსი დარღვეული იყო მმართველი პარტიის სასარგებლოდ. პირველი და შემაჯამებელი სიტყვის უფლებითაც კვლავ „ქართული ოცნების“ წარმომდგენლები სარგებლობდნენ. მმართველი პარტიის წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისთვის დათმობილი დრო მნიშვნელოვნად აღემატებოდა ოპოზიციური კანდიდატებისთვის დათმობილ დროს.

ზოგიერთ სიუჟეტში მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ მმართველი პარტიის კანდიდატების წარდგენა და მთავრობის აქტივობები ერთ სიუჟეტად შუქდებოდა, რასაც შესაძლოა მაყურებლისთვის გაერთულებინა სამთავრობო აქტივობების გამიჯვნა „ქართული ოცნების“ საქმიანობისგან.

- „ტელეკომპანია პირველი“ მკვეთრად კრიტიკული და უარყოფითად განწყობილი იყო „ქართული ოცნების“ და ხელისუფლების მიმართ. უმეტეს შემთხვევაში, არხი წარმოდგენილი იყო როგორც მხარე და არა მოვლენების მიუკერძოებლად და ობიექტურად გაშუქების წყარო. წინასარჩევნო პერიოდში მაყურებელს მთავარი საინფორმაციო გამოშვებიდან საარჩევნო სუბიექტების აქტივობის შესახებ ინფორმაცია ფრაგმენტულად მიეწოდებოდა, რასაც შესაძლოა ხელი შეეშალა ამომრჩევლის ინფორმირებისა და გააზრებული არჩევანის გაკეთებისთვის.

  იყო შემთხვევები, როცა ახალი ამბების წამყვანები რეპორტაჟების წარდგენისას მმართველი გუნდის მიმართ ბრალდებებს და სავარაუდო დანაშაულებს რეალურ ფაქტებად წარმოაჩენდნენ, რასაც შესაძლოა მაყურებელი შეცდომაში შეეყვანა. გარდა ამისა, რეპორტაჟების ავტორები მათ მიერ მომზადებული მასალების დასკვნით ნაწილში თავადვე აკეთებდნენ საკუთარ უარყოფით შეფასებებს და პროგნოზებს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

  წამყვანები ღიად უპირისპირდებოდნენ მთავრობას და მმართველ გუნდს, არ იშურებდნენ ირონიულ გამონათქვამებს, მოახლოებულ არჩევნებზე კი დამარცხებას და „ბოლო ჟამს“ უწინასწარმეტყველებდნენ. საერთო ჯამში, „ტვ პირველის“ გადაცემები და მთავარი საინფორმაციო გამოშვება მიკერძოებული და დაუბალანსებელი იყო ოპოზიციის სასარგებლოდ.

- საანგარიშო პერიოდში „მთავარი არხი“ მკვეთრად ლოიალური და მიკერძოებული იყო ოპოზიციის, განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი კანდიდატების მიმართ. არხზე გასული სიუჟეტები დაუბალანსებელი იყო, ჟურნალისტები მმართველი პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლების მისამართით მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულებით და დაუფარავი კრიტიკით გამოირჩეოდნენ. სააგნარიშო პერიოდში მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები და წამყვანები ღიად აფიქსირებდნენ სიმპათიებს ოპოზიციის

მიმართ და მაყურებელს მოუწოდებდნენ თვითმმართველობის არჩევნებზე ხმა მიეცათ ყველა პარტიისთვის „ქართული ოცნების“ გარდა.

არხზე ხშირად გადიოდა ცალმხრივი და დაუბალანსებელი სიუჟეტები, ასევე ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები ძირითადად მთავრობის და „ქართული ოცნების“ მიმართ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში წამყვანები ღიად უპირისპირდებოდნენ მმართველ ძალას, ისმოდა სიძულვილის ენა და შეურაცხმყოფელი ლექსიკა. მთლიანობაში არხზე გაშუქება იყო მიკერძოებული, დაუბალანსებელი და შეურაცხმყოფელი ლექსიკით გაჯერებული.

ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 22.7% (პოზიტიური - 10%, ნეგატიური - 12%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 18.3% (პოზიტიური - 16%, ნეგატიური - 5%), საქართველოს მთავრობა - 16.7% (პოზიტიური - 5%, ნეგატიური - 1%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 5%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საანგარიშო პერიოდში პირველმა არხმა მაყურებელს შესთავაზა მრავალფეროვანი, პროფესიონალურად მომზადებული სატელევიზიო პროდუქტები. არხზე დაცული იყო მიუკერძოებლობა, ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვებას, ჟურნალისტების მხრიდან პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას, სიძულვილის ენის გამოყენებას. საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურანლსიტები ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს უსვამდნენ კრიტიკულ შეკითხვებს. არხი ნეიტრალურად და დაბალანსებულად აშუქებდა ყველა კვალიფიციური სუბიექტის წინასაარჩევნო აქტივობას, ასევე, ეთერს უთმობდა არაკვალიფიციურ სუბიექტებს.

არხის მიერ ოფიციალურად იყო გაცხადებული, რომ პირდაპირ ეთერში გადასცემდა ყველა პოლიტიკური სუბიექტის პრეზენტაციას, იმ შემთხვევაში თუ იქნებოდა მიწოდებული შესაბამისი სიგნალი ტრანსლაციისათვის. ამასთან, არხის ჟურნალისტები აშუქებდნენ პოლიტიკური სუბიექტების აქტივობებს, ბრიფინგებსა და სხვადასხვა ღონისძებებს. აღსანიშნავია, რომ 20 სექტემბერს პრეზენტაცია გამართა ელენე ხოშტარიას პოლიტიკურმა მოძრაობამ „დროა“, რომლის შესახებაც არხის საინფორმაციო სამსახურს ინფორმაცია არ მიაწოდეს. ამის შესახებ არხისთვის უშუალოდ პრეზენტაციის მსვლელობისას გახდა ცნობილი. წამყვანმა მაშინვე გააკეთა განცხადება, რომ არხი არ იყო აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული. როგორც მეორე დღეს გახდა ცნობილი მაყურებლისთვის, არხთან კომუნიკაციაზე პარტიამ უარი უშუალოდ პარტიის ლიდერის ელენე ხოშტარიას მითითებით თქვა. აღნიშნულის მიუხედავად, „მოამბემ“ მომდევნო დღეს გადასცა ინფორმაცია „დროას“ პრეზენტაციის შესახებ. შემდგომ დღეებშიც პოლიტიკური აქტივობები მიუკერძოებლად შუქდებოდა.

საზოგადოებრივ-პოილიტიკური პროგრამები: საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხზე სეზონი განახლდა 6 სექტემბრიდან. ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები **„დღის თემა“, „თავისუფალი ხედვა“ , „ახალი კვირა“, აქტუალური შაბათი“ და „42**

პარალელი“. ასევე სოციალური და ბიზნეს გადაცემები: **„რეალური სივრცე“, „ბიზნესპარტნიორი“.**

წინასაარჩევნო პერიოდში არხმა მაყურებელს სხვა და სხვა სატელევიზიო პროდუქტი შესთავაზა. განსაკუთრებით აღსანიშნავია **„დებატები“**, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ორგანიზებით ორჯერ მოეწყო - 14 და 21 სექტემბერს. დებატების ფორმატი იყო ე.წ. კლასიკური, რაც გულისხმობს ყველა მონაწილე პოლიტიკური სუბიექტისთვის თანაბარი პირობების შექმნას, დროის ზუსტ განსაზღვრას, წინასწარ გაწერილ სცენარს და საერთო შეკითხვებს. 14 სექტემბერს დებატები გაიმართა კვალიფიციური სუბიექტების წარმომადგენელთა შორის, 21 სექტემბერს თბილისის მერობის ყველა კანდიდატს შორის.

აღსანიშნავია, რომ არხის საინფორმაციო სამსახურმა 13 სექტემბრიდან მაყურებელს შესთავაზა სპეციალური რუბრიკა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების შესახებ. აღნიშნული ფორმატი წარმოაჩენდა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს, მათ მოთხოვნებს. შემდეგ სიუჟეტად წარმოდგენილი იყო ადგილებზე მერობის ძირითადი კანდიდატების შეხედულებები და მათი პროგრამული პრიორიტეტები. ყველა კანდიდატს ეთმობოდა თანაბარი დრო.

სექტემბერში საინფორმაციო სამსახურმა 18 საათიანი „მოამბის“ გამოშვებაში დაამატა რუბრიკა **„ინტერვიუ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან“**, თუმცა, შემდეგ შეიცვალა მოთხოვნა და მომდევნო დღეებში 18 საათიან „მოამბეში“ დრო ეთმობოდა არაკვალიფიციურ სუბიექტებსაც. აღნიშნული ინტერვიუს დროს პარტიების წარმომადგენლები საუბრობდნენ საკუთარ ხედვებზე, წინასაარჩევნო სტრატეგიებზე და აქტივობებზე.

რუბრიკაში დრო დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „მესამე ძალა“ (ორჯერ), „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ), „ევროპელი დემოკრატები“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ), „ლეიბორისტები“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ), „ტრიბუნა“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსი“ (ერთხელ), „სახალხო პარტია“ (ერთხელ), „ერთიანი საქართველო“ (ერთხელ), „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ (ერთხელ), „ევროპელი სოციალისტები“ (ერთხელ), „თეთრები“ (ერთხელ).

შემაჯამებელ საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბე 21 საათზე“ ყოველდღიურად მზადდებოდა რუბრიკა **„ადგილობრივი არჩევნები 2021 - წინასაარჩევნო კამპანია“**, რომლის დროსაც მოკლედ, კოლაჟურად იყო გადმოცემული სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების აქტივობები. უზრუნველყოფილი იყო ბალანსი და მიუკერძოებლობა.

არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მრავალფეროვნად და დაბალანსებულად გაშუქდა ყველა აქტუალური თემა: ავღანეთის კრიზისი, ეპიდვითარება, ფარული ჩანაწერებისა და კრებსების თემა, მეგის ქარდავას ექსტრადირების საკითხი, მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლისა და დაკავების თემა და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„ახალ კვირაში“** გავიდა სიუჟეტები შემდეგი პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით: „ქართული ოცნება“ (სამჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ორჯერ), „ლელო“ (ორჯერ), „მოქალაქეები“ (ორჯერ), „ლეიბორისტები“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „თეთრები“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„დღის თემა“** პოლიტიკური პარტიებიდან პირდაპირი ეთერი დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „ქართული ოცნება“ (ექვსჯერ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ), „მესამე ძალა“ (ერთხელ), „გახარია-საქართველოსთვის“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„აქტუალური შაბათი“** პირდაპირ ეთერში ინტერვიუ მომზადდა შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „ლელო“ (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„თავისუფალი ხედვა“** სტუდიაში სტუმრად იყვნენ მიწვეულები შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ).

ამავე გადაცემის საეთერო დროში მომზადდა ორი დებატი: 1. **დებატები კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა შორის: „**მესამე ძალა“, „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპელი დემოკრატები“, „მოქალაქეები“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ლელო“, „ლეიბორისტული პარტია“, „გირჩი“, „ქართული ოცნება“; ერთმა კვალიფიციურმა სუბიქეტმა „კანონი და სამართალი”, თავიდანვე უარი განაცხადა დებატებში მონაწილეობაზე. 2. **დებატები დედაქალაქის მერობის ყველა კანდიდატს შორის: „**მესამე ძალა“, „ნაციონალური მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ლელო“, „ლეიბორისტული პარტია“, „საქართველო“, „მამული“, „მომავალი საქართველო“, „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“, „გახარია - საქართველოსთვის“, „მამუკა ტუსკაძე - სოციალური სამართლიანობისათვის“, „მშრომელთა სოციალისტური პარტია“, „თავისუფალი საქართველო“, „ქართული ოცნება“, „ანა დოლიძე - ხალხისთვის“, „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“;

1 ოქტომბერს ღამით და 2 ოქტომბერს დილის 8 საათიდან 3 ოქტომბრის 01:00 საათამდე არხმა იმუშავა **საგანგებო რეჟიმში.** საეთერო დრო დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს:

„ქართული ოცნება“ (ოცდაჩვიდმეტჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), „ლელო“ (შვიდჯერ), „მესამე ძალა“ (ცხრაჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ცამეტჯერ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ),„ნაციონალური მოძრაობა“ (ოცდაშვიდჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ (ორჯერ), „გირჩი - მეტი თავისუფლება“ (ორჯერ).

არჩევნების დღეს არხის ჟურნალისტები მუშაობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და მთელი დღის განმავლობაში, ობიექტურად აშუქებდნენ ვითარებას ადგილებზე, მიუკერძოებლად შუქდებოდა პოლიტიკური სუბიექტების მიერ გამართული ბრიფინგები და განცხადებები. საარჩევნო დღეს ეთერი ძირითადად დაეთმო რამდენიმე პოლიტიკურ სუბიექტს და მათ მიერ გაკეთბულ განცხადებებს: „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“, „გახარია - საქართველოსთვის“, „მესამე ძალა“, „ლელო“, „დროა“.

არჩევნების დღეს არხი სისტემატურად აშუქებდა ცესკოს ყველა ბრიფინგს, ასევე, არასამთავრობო სექტორის მიერ გამაართულ ბრიფინგებს. ეთერში გადაიცა საერთაშორისო დამკვირვებლების პრესკონფერენცია.

მთლიანობაში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სექტემბრის თვეში იმუშავა პროფესიონალურად და მიუკერძოებლად. ყველა კანდიდატის შესახებ ობიექტურ, გადამოწმებულ ინფორმაციას აწვდიდა მაყურებელს, ადგილი არ ჰქონია სიძულვილის ენის გამოყენებას და დისკრიმინაციულ განცხადებებს. ამ მხრივ აღსანიშნავია არხის პოზიცია ვაქცინაციის მოწინააღმდეგეთა მიერ მოწყობილ საპროტესტო აქციაზე, რომლის დროსაც ისინი ითხოვდნენ მათთვის ეთერის დათმობას. აღნიშნული აქციის შესახებ გადაიცა ინფორმაცია საინფორმაციო გამოშვებაში, ასევე, ერთ-ერთ თოქ-შოუში (42 პარალელი) ეთერი დაუთმეს ზვიად ტომარაძეს, რომელიც ვაქცინაციის საწინააღმდეგო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია. მთლიანობაში კი, არხი სისტემატურად ახდენდა ვაქცინაციის მნიშნელობის თემაზე მაყურებლის ობიექტურ ინფორმირებას სხვადასხვა თოქ-შოუებსა და პროგრამებში. აღნიშნულ პრობლემაზე დისკუსია გაიმართა თოქ-შოუში „რეალური სივრცე“.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


საზოგადოებრივი მაუწყებელი
22,7%
18,3%
16,7%
6,3%
6,2%
5,3%
3,7%
3,4%
2,6%
2,2%
1,9%
10,7%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ლელო
მესამე ძალა
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია
გირჩი
პატრიოტთა ალიანსი
ელენე ხოშტარია - დროა
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება 51% 49%
მესამე ძალა 36% 64%
ნაციონალური მოძრაობა 41% 59%
საქართველოს მთავრობა 50% 50%
ლელო 41% 59%
ევროპული საქართველო 39% 61%
ელენე ხოშტარია - დროა 61% 39%
პატრიოტთა ალიანსი 59% 41%
გირჩი 26% 74%
გახარია - საქართველოსთვის 48% 52%
ლეიბორისტული პარტია 46% 54%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
15%
85%
23%
71%
6%
96%
4%
23%
77%
100%
9%
91%
1%
7%
93%
5%
93%
1%
16%
79%
5%
19%
81%
10%
78%
12%
ლეიბორისტული პარტია
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი
პატრიოტთა ალიანსი
ელენე ხომტარია - დროა
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მოვლრიობა
ნაციონალური მოძრაობა
მესამე ძალა
ქართული ოცნება





საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 26.2% (პოზიტიური - 8%, ნეგატიური - 31%), „ნაციონალური მოძრაობა“ –

19.6% (პოზიტიური - 12%, ნეგატიური - 31%), „გახარია - საქართველოსთვის“ – 14.1% (პოზიტიური - 47%, ნეგატიური - 15%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე ეტაპის მონიტორინგს დაექვემდებარა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის 20:00 საათიანი საინფორმაციო ახალი ამბები „მთავარი“. საანგარიშო პერიოდში წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება მიმდინარეობდა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულად, მშვიდ ტონში. წამყვანები და ჟურნალისტ-რეპორტიორები იცავდნენ ობიექტურ მიდგომას ყველა წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიმართ. ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვას, დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებას, მომზადებული სიუჟეტები იყო დაბალანსებული. იმ შემთხვევაში, თუ მოვლენის გაშუქების დროს პროცესში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი მხარე, ჟურნალისტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რა მიზეზით არ მიიღო მონაწილეობა მეორე მხარემ ან რა გახდა სიუჟეტის მომზადების საფუძველი. თითოეულ სიუჟეტში მხარეებს შორის დრო თანაბრად იყო დათმობილი, ყველა მონაწილეს ეძლეოდა საშუალება გამოეთქვა თავისი მოსაზრება. წინასაარჩევნო სიუჟეტები ძირითადად იყო ინფორმაციული ხასიათის, ამომრჩეველთა უკეთ ინფორმირების მიზნით „მთავარში“ ინტეგრირებული იყო 5-6 წუთიანი სპეციალური რუბრიკა „მერობის კანდიდატები“, რომელშიც მეორე ეტაპის მონიტორინგის პერიოდში მონაწილეობა მიიღო და ჟურნალისტის კითხვებს უპასუხა აჭარის 6 მუნიციპალიტეტის მერობის 5-მა კანდიდატმა. ამათგან, 2 იყო დამოუკიდებელი კანდიდატი, ხოლო 4 კანდიდატი „გახარია-საქართველოსთვის.“ კითხვები ისე იყო აგებული, რომ თითოეულ კანდიდატს მიეცა შესაძლებლობა სრულად წარმოეჩინა თავისი პროგრამა და ხედვები გამარჯვების შემთხვევაში. საქართველოს მთავრობისა და აჭარის ადგილობრივი მთავრობის აქტიურობების გაშუქების დროს აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ მოვლენის, ფაქტის გადმოცემაზე, აღწერაზე, არ შეიმჩნეოდა სარედაქციო დამოკიდებულება, სუბიექტური მიდგომა. ასეთივე მიდგომა იყო ექსპერტებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მიმართ. მონიტორინგის პერიოდში შუქდებოდა ყველა ის საპროტესტო აქტიურობა, რომელსაც მართავდნენ პოლიტიკური სუბიექტები, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე უშუალოდ აჭარის რეგიონში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - მაუწყებლის ეთერში განთავსებული იყო შემდეგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები: **„თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“** და **„თვითმმართველობის არჩევნები - 2021 ლაშა ზარგინავასა და ირინა ყურუასთან ერთად.“**

„თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“ - გადაცემის ფორმატი ითვალისწინებდა თვითმმართველი ქალაქისა (ბათუმი) და მუნიციპალური (6 მუნიციპალიტეტი) მერების, აგრეთვე საკრებულოს წევრობის კანდიდატებთან ინტერვიუს, რომლის დროსაც ძირითადი აქცენტი კეთდებოდა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქებაზე, ასევე მოწვეული კანდიდატის ზოგად პოლიტიკურ ხედვებზე, მის საპროგრამო გეგმებზე, არჩევის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მართვის, საკრებულოში საქმიანობის პრინციპებზე.

გადაცემის მსვლელობისას ხდებოდა კანდიდატის წარდგენა, მისი პოლიტიკური და საქმიანი ბიოგრაფიული მონაცემების გამოქვეყნება, რაც ამომრჩეველს სრულ წარმოდგენას უქმნიდა სუბიექტის შესახებ. წამყვანის კითხვები იყო გააზრებული, მწვავე, ემოციების გარეშე, საქმიან პასუხებზე ორიენტირებული, მიუკერძოებული. ინტერვიუს მსვლელობისას წამყვანი სტუმარს საშუალებას აძლევდა სრულად ჩამოეყალიბებინა თავისი ხედვა არჩევნების მიმართ, გამოეხატა კრიტიკული დამოკიდებულება ოპონენტებისადმი, გამოეთქვა მოსაზრება ზოგადი პოლიტიკური მოვლენების ირგვლივ.

გადაცემების ზოგადი ტონი იყო მშვიდი, ირონიის გარეშე, საქმიანი. წამყვანი ერთვებოდა საუბარში დამატებითი კითხვებით იმ შემთხვევაში, როცა ჩათვლიდა, რომ კონკრეტული საკითხი სტუმრისგან მოითხოვდა დაზუსტებას. ხშირ შემთხვევაში კითხვები იყო კრიტიკული.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის ეთერში გავიდა 7 გადაცემა, რომლის დროსაც გადაცემას სტუმრობდნენ: „ქართული ოცნება“ (ექვსჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ).

გადაცემის წამყვანი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ სუბიექტებს, რომლებიც მოწვეული იყვნენ გადაცემაში, მაგრამ არ მივიდნენ.

„თვითმმართველობის არჩევნები - 2021 ლაშა ზარგინავასა და ირინა ყურუასთან ერთად“ - გულისხმობდა დებატების ფორმატს, წამყვანები იწვევდნენ ყველა საარჩევნო ოლქისკანდიდატებს. კერძოდ, პარტიული სიის პირველ ნომრებს, ასევე მაჟორიტარ კანდიდატებს. თითოეულ მათგანს თითო კითხვაზე პასუხის გასაცემად ეძლეოდა რეგლამენტირებული 2 წუთი, რომლის ამოწურვის შემდეგ სუბიექტს მიკროფონი ეთიშებოდა. კითხვები შერჩეული იყო მოსახლეობის/ამომრჩევლის გამოკითხვის საფუძველზე და ასახავდა კონკრეტული ოლქის, უბნის დარგობრივი, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხების ერთობლიობას, რაც მოსახლეობას აწუხებს. დამატებით თითოეულ სტუმარს უფლება ჰქონდა კითხვა დაესვა ერთი რომელიმე კანდიდატისთვის, კანდიდატს კი პასუხისითვის გამოყოფილი ჰქონდა კიდევ ერთი წუთი.

წამყვანები ასახელებდნენ ყველა იმ სუბიექტს, რომლებიც გადაცემაში სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მივიდნენ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში პოლიტიკური დებატები შედგა შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის:

„გახარია-საქართველოსთვის“, „ქართული ოცნება“, „მესამე ძალა“, „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“ - ერთხელ;

„მესამე ძალა“, „ნაციონალური მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ლელო“, „გახარია-საქართველოსთვის“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ - ერთხელ;

„ნაციონალური მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული ოცნება“ - ერთხელ;

„ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული ოცნება“ - ერთხელ;

„მესამე ძალა“, „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“, „ლეიბორისტული პარტია“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ - ერთხელ;

„მესამე ძალა“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“, „ლეიბორისტული პარტია“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ - ერთხელ;

„გახარია-საქართველოსთვის“, „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“ - ორჯერ;

„ლელო“, „გახარია-საქართველოსთვის“, „ნაციონალური მოძრაობა“ - ერთხელ;

„მესამე ძალა“, „ნაციონალური მოძრაობა“, „გახარია-საქართველოსთვის“, „ლელო“ - ერთხელ;

„ნაციონალური მოძრაობა“, „გახარია-საქართველოსთვის“, „ლეიბორისტული პარტია“, „ქართული ოცნება“ - ერთხელ;

„ნაციონალური მოძრაობა“, „გახარია-საქართველოსთვის“, „ქართული ოცნება“ „ევროპული საქართველო“ - ერთხელ;

„თავისუფალი საქართველო“, „სახე+“, „ქართული ოცნება“, „დროა“, „პატრიოტთა ალიანსი“, „გახარია-საქართველოსთვის“ - ერთხელ;

„ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“, „ლეიბორისტული პარტია“, „რეფორმერი“, „გირჩი“, „თავისუფალი საქართველო“, „სახალხო პარტია“, გირჩი-მეტი თავისუფლება“ - ერთხელ;

„მესამე ძალა“, „გახარია-საქართველოსთვის“, „თავისუფალი საქართველო“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“, „ლელო“ - ერთხელ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი არ შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
63%
37%
მესამე ძალა
29%
71%
ნაციონალური მოძრაობა
59%
41%
საქართველოს მთავრობა
39%
61%
ლელო
26%
74%
ევროპული საქართველო
43%
57%
გახარია - საქართველოსთვის
33%
67%
აჭარის მთავრობა
33%
67%
ადგილობრივი მთავრობა
54%
46%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
25%
63%
11%
38%
59%
3%
47%
38%
15%
9%
90%
1%
18%
81%
1%
22%
73%
6%
12%
57%
31%
12%
88%
8%
61%
31%
ადგილობრივი მთავრობა
აჭარის მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
მესამე ძალა
ქართული ოცნება





შპს „ტელეიმედი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 46.4% (პოზიტიური - 47%, ნეგატიური - 4%), „ნაციონალური მოძრაობა“ –

18.9% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 68%), საქართველოს მთავრობა - 10.4% (პოზიტიური - 37%, ნეგატიური - 1%), ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობოდა "ქართული ოცნებისა" და მთავრობის პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენას. გამოიკვეთა აშკარა ნეგატიური განწყობა „ნაციონალური მოძრაობის" მიმართ, რომელიც შეინიშნებოდა, როგორც გადაცემის წამყვანისა და სიუჟეტის ავტორების ტონში, აგრეთვე მომზადებული სიუჟეტების შინაარსში. საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ნეგატიური დამოკიდებულება გიორგი გახარიასა და პარტია "საქართველოსთვის" მიმართ.

მაუწყებლის მიერ ხშირად გადაიცემოდა სიუჟეტები, რომლებიც წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედებებს და მათ მიმართ საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას ასახავდა. მსგავსი სიუჟეტები ხშირად არათემატური იყო და საინფორმაციო გამოშვებაში რიგითობით მოწინავე ადგილს იკავებდა, მაშინ როდესაც მიმდინარე და აქტუალური მოვლენები შედარებით გვიან შუქდებოდა.

მონიტორინგის პერიოდში მაუწყებლის მიერ მომზადებულ სიუჟეტებში ხშირად ისმოდა მოსაზრება, რომ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებით გიორგი გახარიამ ხმები "ქართულ ოცნებას" წაართვა, რაც "ნაციონალური მოძრაობისთვისაა" ხელსაყრელი, ამიტომ ხშირად ხდებოდა გიორგი გახარიას "ნაციონალური მოძრაობის" მოკავშირედ მოხსენიება და მისი ნეგატიური ტონით გაშუქება. მაუწყებლის მიერ სისტემატიურად, თითქმის ყოველდღიურად მზადდებოდა სიუჟეტები გიორგი გახარიას პარტიიდან გუნდის წევრების წასვლის შესახებ. სიუჟეტებში მონაწილეობდნენ პარტია "საქართველოსთვის" ყოფილი წერვები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათი პარტიაში გაწევრიანების მოტივაციას გიორგი გახარიას "ქართულ ოცნებასა" და ბიძინა ივანიშვილთან აფილირება წარმოადგენდა, თუმცა მას შემდეგ, რაც გახარიამ კახა კალაძის კონკურენტად კანდიდატურა წამოაყენა თავი მოტყუებულად იგრძნეს და პარტიის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს.

გიორგი გახარიას მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოვლინდა 9 სექტემბერს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გადაცემის წამყვანის მიერ გაკეთებულ ვრცელ განცხადებაში, რითაც არხი გამოეხმაურა გიორგი გახარიას გაკეთებულ კომენტარს ტელეიმედთან დაკავშირებით, რომელშიც ის ეთერს ითხოვდა საკუთარი მოსაზრების დასაფიქსირებლად. განცხდების თანახმად, ტელეიმედის არსებობის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს არ დაუშვას „ნაციონალური მოძრაობის" დაბრუნება ხელისუფლებაში. განცხადება სრულდებოდა ფრაზით: "და ახლა ყველაზე მთავარი, ტელეკომპანია იმედი არის დამოუკიდებელი კერძო კომპანია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია არ დაუშვას „ნაციონალური მოძრაობის"

რევანში საქართველოში. ამ მიზნის და საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში ის თვითონ წყვეტს ვინ, როდის და რა ამპლუაში მოიწვიოს ტელეარხზე.”

უნდა აღინიშნოს მაუწყებლის დამოკიდებულება საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიმართაც. კერძოდ, 10 სექტემბრის მთავარი საინფორმაციო გამოშვება დაიწყო 2 საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებით. სიუჟეტები ერთმანეთის მიმდევრობით იყო განლაგებული. პირველ სიუჟეტში გამოქვეყნებული იყო „ქართული ოცნების“ შიდაპარტიული კვლევის შედეგები, რასაც შემდგომში მოსდევდა შეფასებები და კომენტარები, როგორც „ქართული ოცნების“, ისე ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან. ჟურნალისტების მიერ საკითხი ნეიტრალური ტონით შუქდებოდა. თუმცა, მომდევნო სიუჟეტი ეთმობოდა ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ჩატარებულ „ედისონ რისერჩის“ კვლევას. სიუჟეტის შესავალში გადაცემის წამყვანების მხრიდან გამოყენებული იყო ნეგატიური ტონი და გამოითქვა ეჭვები კვლევის შედეგების სანდოობის მიმართ.ჟურნალისტების დამოკიდებულება ემთხვეოდა მმართველი პარტიის წარმომადგენლების დამოკიდებულებას და არგუმენტებს. ნეგატიური ტონით გაშუქდა „ედისონ რისერჩის“ 28 სექტემბრის კვლევაც. კერძოდ, კვლევის შედეგების წარდგენისას საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ამბობდა: “კიდევ ერთი კვლევა ოპოზიციის საიმედოდ და რეალობისაგან შორს.”

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელი ყურადღებას ამახვილებდა და საეთერო დროს უთმობდა მნიშვნელოვან და აქტუალურ მოვლენებს. პირდაპირი ეთერი ეთმობოდა თბილისის და აჭარის მთავრობების სხდომებს, ყვარელში ბანკზე თავდამსხმელის დაკავების სპეცოპერაციას, საერთაშორისო ვიზიტების თანმდევ პრესკონფერენციებს. უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი ეთერის ფორმით საეთერო დრო ეთმობოდა ისეთი აქტივობების გაშუქებასაც, როგორებიცაა თბილისის მერიის მიერ ავტოპარკის განახლება, დევნილებისათვის ბინების გადაცემის ღონისძიება ან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ბიზნესპროექტების შესახებ პრეზენტაცია, იუსტიციის სახლის გახსნა.

მაუწყებელი პირდაპირ ეთერში აშუქებდა ბრიფინგებს „ქართული ოცნების“ ოფისიდან. ასევე პირდაპირი ეთერი დაეთმო კახა კალაძის მხარდამჭერთა დარბაზის გახსნას, ქუთაისში „ქართული ოცნების“ მერობისა და საკრებულოს კანდიდატების სიის წარდგენის ღონისძიებას (37 წუთი). პირდაპირი ეთერით გაშუქდა როგორც კახა კალაძის საარჩევნო პროგრამის ზოგადი, ისე თემატური პრეზენტაციები. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიებების ნაწილს მაუწყებლის ეთერი საუკეთესო დროს ეთმობოდა და ზოგიერთი მათგანი მთავარ საინფორმაციო გამოშვებაშიც იყო ინტეგრირებული.

საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტების ნაწილი ხშირად ეთმობოდა „ქართული ოცნების“ კანდიდატების შეხვედრას ამომრჩეველთა ჯგუფებთან. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ხარისხითა

და სიხშირით სხვა არცერთი წინსაარჩევნო სუბიექტის აქტივობა მაუწყებელს არ გაუშუქებია. გამონაკლისის წარმოადგენს პარტია "მოქალაქეები", რომელთა საკრებულოს სიის პრეზენტაციაც ტელეიმედის ეთერში მოხვდა.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია იმედმა "ქართული ოცნების" 6 საარჩევნო კანდიდატზე, მათი საქმიანობის შეფასებაზე, ცხოვრებისა და მომავალი გეგმების, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შესახებ გააკეთა ჩანახატების ციკლი, სადაც თითოეული კანდიდატი პოზიტიურ კონტექსტში გაშუქდა.

საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემები - მაუწყებლის ეთერში წინასაარჩევნო პერიოდში განთავსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები ეხებოდა კვირის განმავლობაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებს. გადაცემებში სტუმრის სტატუსით მიწვეული იყვნენ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები, თუმცა იკვეთებოდა აშკარა მიკერძოება "ქართული ოცნების" კანდიდატებისა და წევრების გაშუქებასთან დაკავშირებით და ყველაზე ხშირად გადაცემებს სწორედ ისინი სტუმრობდნენ.

წინსაარჩევნო პროცესების გაშუქების სეზონი გაიხსნა წინასაარჩევნო კამპანიის და მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის სპეციალურად ფორმატირებული გადაცემით **"არჩევნები 2021"**. სეზონის პირველ გადაცემაში, პირველ სტუმრად მიწვეული იყო ტელეკომპანია "იმედის" 100%-იანი წილის მფლობელი, რომელმაც მკვეთრად და ცალსახად დააფიქსირა მაუწყებლის პოზიცია და განაცხადა, რომ მაუწყებლის ძირითადი პოლიტიკაა წარმოაჩინოს პარტია "ნაციონალური მოძრაობის" ნამდვილი სახე და რომ ამ მიზნის მისაღწევად მაუწყებელი ყველაფერს იზამს, რათა ხალხს არ დაავიწყოს 9 წლიანი მმართველობის შედეგები. ამასთან, ტელეკომპანიის მფლობელმა სხვა ოპოზიციურ პარტიებს "ნაციონალური მოძრაობის" ლეღვის ფოთლები" უწოდა.

გადაცემაში **"არჩევნები 2021"** მონაწილეობდნენ - "ქართული ოცნება" (ათჯერ), "ნაციონალური მოძრაობა" (ერთხელ), "მესამე ძალა" (ერთხელ), "მოქალაქეები" (ორჯერ), "გირჩი" (სამჯერ).

გადაცემაში **"იმედი LIVE"** მონაწილეობდნენ - "ქართული ოცნება" (ხუთჯერ) და "ნაციონალური მოძრაობა" (ერთხელ).

გადაცემაში წამყვანების მიერ ხშირად იკვეთებოდა ნეგატიური დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილისა და ზოგადად „ნაციონალური მოძრაობის" მიმართ. 9 სექტემბრის გადაცემაში წამყვანები "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კამპანიას ნეგატივით გაჯერებულს უწოდებენ და ამბობენ, რომ პარტია ადამიანურ ტრაგედიებს პოლიტიკური ქულების დასაწერად იყენებს, რაც უღირსი საქციელია.

გადაცემაში რამდენიმე სიუჟეტი დაეთმო და მიწვეულ სტუმრებთან დისკუსიის ძირითად საკითხს წარმოადგენდა კანდიდატთა ნარკოლოგიური შემოწმება. გადაცემის წამყვანების მიერ არაერთხელ გამოითქვა ეჭვი რატომ შეიძლება ეთქვა უარი გიორგი გახარიას ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, თუ მას რეალურად არ ქონდა პრობლემა ნარკოტიკულ საშუალებებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია სიუჟეტი: ჟურნალისტი ჩასული იყო ავსტრიაში და კომენტარის მიცემას სთხოვდა ავსტრიელ ექიმს, რომელსაც არხის განცხადებით უნდა ჩაეტარებინა ნარკოტესტი გიორგი გახარიასთვის. ექიმი უარს ამბობდა პაციენტთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის გავრცელებაზე, რის საპასუხოდაც ჟურნალისტი აგრძელებდა მის მიდევნებას და დაჟინებით უსვამდა იგივე კითხვებს. ამის შემდეგ ჟურნალისტი რეკავდა იმ კლინიკაში, რომელშიც აღნიშნული ექიმი მუშაობდა და ცდილობდა ნარკოტესტის ჩატარებისთვის ვიზიტი დაეჯავშნა, რაზეც მას უპასუხეს, რომ ამ კლინიკაში ასეთი ტესტები არ ტარდება. თუმცა, გადაცემაშივე ირკვევა, რომ ეს ექიმი სხვა კლინიკაშიც მუშაობდა. სიუჟეტში არ იყო წარმოდგენილი კლინიკის წარმომადგენლების კომენტარი. მთლიანობაში, გადაცემის მიზანი იყო, რომ მაყურებელს ეჭვი შეეტანა გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილი ნარკოტესტის სანდოობაში, რისთვისაც იყენებდა მანიპულაციის მეთოდებს.

23 სექტემბრის გადაცემა წამყვანმა დაიწყო მელიასა და კობახიძის შორის მომხდარ დაპირისპირებაზე საუბრით: "მე არ მჯერა ნიკა მელიას გულწრფელი ემოციების, უსამართლობით აღშფოთებული გმირის აი ამ პათეტიკის. ნუ, შეიძლება ცუდი მსახიობია, კიევის სამსახიობო სკოლა არ ბრწყინავს, პირდაპირ შემიძლია გითხრა." გადაცემაში წამყვანების მხრიდან რამდენჯერმე გაესვა ხაზი, რომ ნიკა მელია პროვოკაციული ქმედებებით გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაა. ნეგატიურ ტონში იყო მოხსენიებული ზოგადად „ნაციონალური მოძრაობა". პარალელურად აშკარა სიმპათიები იყო „ქართული ოცნების" და ირაკლი კობახიძის მიმართ. მაგალითად წამყვანმა სტუმრად მიწვეულ ირაკლი კობახიძეს უთხრა: "თქვენც ვერ შეიკავეთ ბოლომდე თავი და მესმის აბსოლუტურად, იმიტომ რომ ძალიან მძიმე იყო, მიუხედავად თმენის ვალდებულებისა".

გადაცემაში **"იმედის კვირა"** მომზადებულ სიუჟეტებში მონაწილეობდნენ - "ქართული ოცნება" (ჩვიდმეტჯერ), "ნაციონალური მოძრაობა" (სამჯერ), "საქართველოსთვის" (ერთხელ), გირჩი (სამჯერ), "კანონი და სამართალი" (ერთხელ), "ლელო" (ერთხელ), მთავრობა (ერთხელ), "მოქალაქეები" (ორჯერ), "მესამე ძალა" (სამჯერ), "ხალხისთვის" (ერთხელ).

თოქ-შოუს ფორმატში, მიწვეულ სტუმრებთან ინტერვიუები ინტეგრირებული იყო საინფორმაციო გამოშვებებშიც. საანგარიში პერიოდში გადაცემაში **"ქრონიკა"** საეთერო დრო დაეთმოთ - "ქართული ოცნება" (ოცდახუთჯერ), მთავრობა (ორჯერ), ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ), "მესამე ძალა" (ერთხელ).

4 სექტემბერს გადაცემა “ქრონიკაში” ინტეგრირებული იყო ინტერვიუ ირაკლი კობახიძესთან, სადაც სტუმრის მხრიდან გაისმა კონკრეტული ბრალდებები ოპოზიციური პარტიების მიმართ, რაზეც გადაცემის წამყვანმა აღნიშნა, რომ რადგანაც მისთვის აღნიშნული ბრალდებების შესახებ ინფორმაცია ცნობილი არ იყო და სტუმარს საკითხზე საუბრისას სათანადო ოპონირებას ვერ გაუწევდა, უმჯობესი იყო თუ მსჯელობას აღარ გააგრძელებდნენ. ამავე გადაცემაში სტუმარმა ერთ-ერთი მაუწყებელი კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანების მხარდამჭერად დაასახელა, რაზეც ჟურნალისტმა შენიშვნის სახით განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა სტუმრის პირად მოსაზრებას და არა უტყუარ ფაქტს.

გადაცემაში **“პირისპირ”** მონაწილეობდნენ - “ქართული ოცნება” (ერთხელ).

მაუწყებელმა უწყვეტი ეთერის ფორმატით გააშუქა კენჭისყრის დღე. დღის განმავლობაში პირდაპირ ეთერში, თოქ-შოუს ფორმატში საეთერო დრო დაეთმოთ - “ქართული ოცნება” (თერთმეტჯერ), “გირჩი” (ერთხელ), “მოქალაქეები” (ერთხელ). კენჭისყრის დღეს პირდაპირ ეთერში აშუქებდა “ქართული ოცნების” ოფისში პოლიტიკური ლიდერების მიერ გაკეთებულ განცხადებებსაც.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის ეთერში განთავსებული არ ყოფილა დებატები საარჩევნო სუბიექტთა კანდიდატებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.


იმედი
46,4%
18,9%
10,4%
7,2%
2,2%
2,1%
1,9%
1,6%
9,3%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი
ლელო
მესამე ძალა
ადგილობრივი მთავრობა
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
40%
60%
მესამე ძალა
63%
37%
ნაციონალური მოძრაობა
83%
17%
საქართველოს მთავრობა
57%
43%
ლელო
72%
28%
გირჩი
63%
37%
გახარია - საქართველოსთვის
90%
10%
ადგილობრივი მთავრობა
46%
54%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
85%
12%
3%
1%
32%
67%
14%
78%
9%
95%
5%
37%
61%
1%
2%
31%
68%
2%
96%
2%
47%
49%
4%
ადგილობრივი მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ბორჩი
ოელლო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
მესამე ძალა
ქართული ოცნება





შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 43.6% (პოზიტიური - 41%, ნეგატიური - 11%), „ნაციონალური მოძრაობა“ –

15.7% (პოზიტიური - 9%, ნეგატიური - 33%), საქართველოს მთავრობა - 15.1% (პოზიტიური - 50%, ნეგატიური - 1%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - „რუსთავი 2-ზე“ მონიტორინგს დაექვემდბარა დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება - „კურიერი“, რომელიც მეორე საანგარიშო პერიოდშიც განაგრძობდა მიმდინარე მოვლენების ეთიკური სტანდარტების დაცვით გაშუქებას. ჟურნალისტები აუდიტორიას აწვდიდნენ გადამოწმებულ და ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას. მონიტორინგის მსვლელობისას არ გამოვლენილა დეზინფორმაციის გავრცელებისა და მანიპულაციის შემთხვევები.

საინფორმაციო გამოშვებაში განთავსებული სიუჟეტებით მაყურებელს უმეტესწილად შესაძლებლობა ჰქონდა საკითხის გარშემო განსხვავებულ მოსაზრებებს გაცნობოდა. თუმცა, რიგ შემთხვევაში რაოდენობრივი ბალანსი დარღვეული იყო მმართველი პარტიის სასარგებლოდ, პირველი და შემაჯამებელი სიტყვის უფლებით კვლავ ქართული ოცნების წარმომდგენლები სარგებლობდნენ.

მაგალითად 8 სექტემბერს, 21:17 საათზე გასული სიუჟეტი სახელწოდებით „პარტნიორების შეფასება“, თავდაპირველად ქართული ოცნების დეპუტატების კომენტარებით დაიწყო, რომელსაც მოსდევდა ოპოზიციური სპექტრის შეფასებები, ბოლოს კი კვლავ ქართული ოცნების წარმომადგენელმა შეაჯამა საკითხი.

14 სექტემბერს, 21:00 საათზე სიუჟეტი სახელწოდებით - ,,პოლიტიკური შეფასება'' ქართული ოცნების აღმასრულებელი მდივნის კომენტარით დაიწყო, რომლის შემდგომაც საზოგადოებამ მოისმინა ოპოზიციური პარტიების წარმომადენელთა შეფასებები, ბოლოს კი კვლავ ქართული ოცნების დეპუტატის შემაჯამებელი ინტერვიუ. სიუჟეტში 11 პოლიტიკოსის კომენტარი მოვისმინეთ, აქედან 5 მმართველი პარტიის წარმომადგენელი იყო, თითოეული მათგანის კომენტარის ხანგრძლივობაც თავის მხრივ აჭარბებდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ინტერვიუებისთვის დათმობილ დროს.

მთავარი საინფორმაციო გამოშვების ფარგლებში აქტიურად ეთმობოდა დრო ისეთ სიახლეებს, როგორიცაა პრეზიდენტის განცხადება, პრემიერ -მინისტრის გამოსვლა გაეროში, პრემიერის ვიზიტი ბაქოში. ამასთან მაუწყებელი ცდილობდა დაბალანსებული და უახლესი ინფორმაცია მიეწოდებინა მოსახლეობისთვის კოვიდვითარებისა და მასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად შუქდებოდა პარტია „ქართული ოცნების" მიერ თბილისსა და რეგიონებში კანდიდატების წარდგენის ღონისძიებები, პარტიის წევრთა ბრიფინგები და განცხადებები, აგრეთვე, მათ მიერ განხორციელებული სოციალური კვლევის შედეგები.

მმართველი პარტიის წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისთვის დათმობილი დრო მნიშვნელოვნად აღემატებოდა ოპოზიციური კანდიდატებისთვის დათმობილ დროს.

მმართველი გუნდის თბილისის მერობის კანდიდატის კამპანია, რომელსაც საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ,,ქართული ოცნების ყველაზე რეიტინგულ ფიგურას'' უწოდებდა (13 სექტემბერი 21:27:29) დეტალურად შუქდებოდა დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში. მოსახლეობასთან შეხვედრების გარდა, მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა მის პროგრამასაც გაცნობოდა, აღნიშნული სიუჟეტების კონტექსტი უმეტესწილად პოზიტიური გახლდათ.

9 სექტემბერს, 21:27 საათზე ქართული ოცნების თბილისის მერობის კანდიდატის ურბანული პოლიტიკის პროგრამის წარდგენას 7 წუთი დაეთმო, ხოლო იმავე დღეს 21:55 საათზე გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით ,,საარჩევნო კამპანია'', სადაც პარტიების ,,ლელო'', ,,ევროპული საქართველო'', ,,ანა დოლიძე-ხალხისთვის'', ,,ნაციონალური მოძრაობა'' აქტივობები გაშუქდა, რომელსაც ჯამში 3 წუთზე ნაკლები დაეთმო.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ,,ქართული ოცნების'' კანდიდატების წარდგენის გაშუქებისას, იმავე სიუჟეტში პოზიტიურ ჭრილში კვლავ შუქდებოდა პრემიერისა და მთავრობის სხვა წევრების შეხვედრები მოსახლეობასთან, რაც ართულებდა სამთავრობო აქტივობების გამიჯვნას „ქართული ოცნების“ საქმიანობისგან.

10 სექტემბრის სიუჟეტში (21:24) ,,ქართული ოცნების'' კანდიდატები“, თავდაპირველად „ქართული ოცნების“ მცხეთის მერობის კანდიდატების წარდგენის ოფიციალური ღონისძიება გაშუქდა. თუმცა მოგვიანებით, იმავე სიუჟეტში ჟურნალისტმა განაცხადა: „მინისტრთა კაბინეტის წევრებმა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოინახულეს დღეს მცხეთა-მთიანეთში მიმდინარე პროექტები'' ამავე სიუჟეტიდან ვისმენთ: „წინასაარჩენო კამპანიის ფარგლებში დუშეთში მყოფმა პრემიერმა ახლად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღიც დაათვალიერა''. ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის მეორე ნაწილი პრემიერ -მინისტრის აქტივობებს ეხებოდა სიუჟეტის დასახელება კვლავაც „ქართული ოცნების კანდიდატები“ იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა ქართული ოცნების 6 საარჩევნო კანდიდატზე ინდივიდუალური სიუჟეტები მოამზადა, სადაც თითოეული მათგანი პოზიტიურ კონტექსტში გაშუქდა, აღნიშნული სიუჟეტებით მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა მეტი ინფორმაცია მიეღო კანდიდატების საქმიანობაზე, ოჯახსა და სამომავლო გეგმებზე. საგულისხმოა, რომ ამგვარი სიუჟეტები არცერთ ოპოზიციურ კანდიდატზე არ გაკეთებულა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები: მონიტორინგის ქვეშ მოექცა ორი საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემა: **„დღის კურიერი“** და **„ღამის კურიერი“**.

საანგარიშე პერიოდში გადაცემას **,,დღის კურიერი”** სტუმრობდნენ: ,,ქართული ოცნება (ათჯერ), ,,ნაციონალური მოძრაობა“ (რვაჯერ), ,,ევროპული საქართველო'' (ერთხელ), ,,გირჩი'' (ორჯერ), საქართველოს მთავრობა (ოთხჯერ), ,,ევროპული დემოკრატები'' (ერთხელ), ,,მესამე ძალა'' (ერთხელ), ,,ადგილობრივი მთავრობა'' (ორჯერ).

,,ღამის კურიერის“ ეთერში ვიხილეთ მონიტორინგს დაქვემდებარებული შემდეგი სუბიექტები: ,,ქართული ოცნება'' (შვიდჯერ), ,,გახარია-საქართველოსთვის'' (ერთხელ), ,,ნაციონალური მოძრაობა'' (სამჯერ), ,,კანონი და სამართალი'' (ერთხელ), ,,ჩვენი საქართველო'' (ერთხელ), ,,მესამე ძალა'' (სამჯერ), ,,ლეიბორისტული პარტია'' (ორჯერ), ,,ლელო'' (სამჯერ), ,,ანა დოლიძე-ხალხისთვის'' (ორჯერ), ,,გირჩი'' (ერთხელ), ,,გირჩი-მეტი თავისუფლება'' (ერთელ), ,,ელენე ხოშტარია-დროა'' (ერთხელ), ,,მოქალაქეები'' (ერთხელ), ,,პატრიოტთა ალიანსი (ერთხელ), ,,ევროპული საქართველო'' (ერთხელ), ,,საქართველოს მთავრობა'' (სამჯერ).გადაცემის ფარგლებში მომზადებული სიუჟეტების ფარგლებში, მოვისმინეთ შემდეგი საარჩევნო სუბიექტების ინტერვიუები: ნაციონალური მოძრაობა (ერთხელ), ,,ელენე ხოშტარია-დროა“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ). გადაცემის ფარგლებში აქტიურად ეთმობოდა პირდაპირი დრო მმართველი პარტიის მიერ გამართულ ბრიფინგებს.

,,ღამის კურიერს” 28 სექტემბერს, ერთდროულად სტუმრობდნენ ,,გირჩი-მეტი თავისუფლება'', ,,ელენე ხოშტარია-დროა'', ,,ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები'', თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემა დებატების ფორმატში არ წარმართულა, პარტიების ლიდერები ერთმანეთს ოპონირებას არ უწევდნენ და ძირითადად საერთო მიზნებსა და გეგმებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

გადაცემა **,,დღის კურიერი”** ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა, რომლის ფარგლებშიც ჟურნალისტები მიმდინარე აქტუალურ საკითხებს სტუმრებთან ერთად განიხილავდნენ. გადაცემას უმრავლეს შემთხვევაში ჩართვით სტუმრობდნენ საარჩევნო სუბიექტებიც, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინათ რიგ პოლიტიკურ საკითხებზე, აგრეთვე სამომავლო გეგმებზე.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სტუმრის მიერ შეურაცხმყოფელი რეპლიკები, რომელსაც ჟურნალისტის შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

9 სექტემბერს, ,,ნაციონალური მოძრაობის'' წარმომადგენლის მხრიდან ვისმენთ ,,ღმერთო ჩემო, გასაკვირია, რომ ქართულ ოცნებას ჰყოფნის უტიფრობა, გამოდის და ლაპარაკობს იმაზე, რომ არჩევნების გაყალბება კი არ ყოფილა პრობლემა, პრობლემა ყოფილა არჩევნებზე

დაკვირვება, ეს არის აბსოლიტური სიგიჟე, ეს არის გაუგონარი, რომ ეყოთ სითავხედე და სერიოზულად ამბობენ ამას''.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტი უმრავლეს შემთხვევაში კრიტიკულ შეკითხვებს სვამდა, როგორც მმართველი ისე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა მისამართით, ცდილობდა ზუსტი ციტირებებითა და წყაროს აღნიშვნით ესაუბრა.

თოქ-შოუს **,,ღამის კურიერის''** გაცხადებული მიზანი ამომრჩევლების ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დახმარება გახლდათ, აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის გადაცემას პოლიტიკური სუბიექტები სტუმრობდნენ და წამყვანის მიერ დასმულ აქტუალურ შეკითხვებს პასუხობდნენ. აღსანიშნავია, რომ წამყვანის მხრიდან არაერთხელ დაისვა კრიტიკული შეკითხვა როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების მისამართით.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ქართული ოცნების თბილისის მერობის კანდიდატი სტუმრობდა გადაცემას მისი გუნდის სრული შემადგენლობით, თითოეულ წევრს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ამომრჩეველს და ძირითადი დაპირებები გაეცხადებინა, გარდა ამისა გადაცემის მიწურულს განთავსდა კახა კალაძის ყოფილი თანაგუნდელების მხარდამჭერი მიმართვები. საანგარიშო პერიოდში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს მსგავსი შესაძლებლობა არ ჰქონიათ.

განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა 6 სექტემბერს პარტია „საქართველოსთვის“ თბილისის მერობის კანდიდატის სტუმრობა სტუდიაში. კრიტიკული შეკითხვების პარალელურად ჟურნალისტი ვერ მალავდა ირონიულ დამოკიდებულებას რესპონდენტის მიმართ. ჟურნალისტის ირონიული შეკითხვა: ,,თქვენ უარყავით კალაძესთან შეხვედრა თავდაპირველად, შემდეგ დაადასტურეთ, ასევე უარყავით თქვენ ვაშინგტონში სააკაშვილთან შეხვედრა, დღეს მაგალითად ხომ არ დაადასტურებდით აი ამ შეხვედრასაც?!''

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში წინასაარჩევნო პოლიტიკური დებატები განთავსებული არ ყოფილა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“–ის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.


რუსთავი 2
43,6%
15,7%
15,1%
5,0%
4,0%
3,5%
2,1%
2,0%
1,9%
1,7%
5,5%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ლელო
მესამე ძალა
ადგილობრივი მთავრობა
ევროპული საქართველო
საქართველოს პრეზიდენტი
გირჩი-მეტი თავისუფლება
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება 49% 51%
მესამე ძალა 34% 66%
საქართველოს პრეზიდენტი 71% 29%
ნაციონალური მოძრაობა 70% 30%
საქართველოს მთავრობა 54% 46%
ლელო 45% 55%
ევროპული საქართველო 47% 53%
გირჩი-მეტი თავისუფლება 75% 25%
გახარია - საქართველოსთვის 80% 20%
ადგილობრივი მთავრობა 34% 66%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
75%
25%
59%
40%
10%
88%
2%
22%
68%
10%
17%
74%
9%
50%
48%
1%
9%
58%
33%
23%
71%
5%
25%
75%
41%
47%
11%
ადგილობრივი მთავრობა
ფახარია - საქართველოსთვის
გირჩი-მეტი თავისუფლება
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება





შპს „ტელეკომპანია პირველი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 42.4% (პოზიტიური - 1%, ნეგატიური - 62%), „ნაციონალური მოძრაობა“ –

16.3% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 13%), საქართველოს მთავრობა - 14.1% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 50%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - ტვ პირველი მკვეთრად კრიტიკული და უარყოფითად განწყობილი იყო ქართული ოცნების და ხელისუფლების მიმართ. უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული მედიასაშუალება წარმოდგენილი იყო როგორც მხარე და არა მოვლენების მიუკერძოებლად და ობიექტურად გაშუქების წყარო.

წინასარჩევნო პერიოდში, მაყურებელს მთავარი საინფორმაციო გამოშვებიდან საარჩევნო სუბიექტების აქტივობის შესახებ ინფორმაცია ფრაგმენტულად მიეწოდებოდა, რაც ხელს უშლიდა ამომრჩევლის ინფორმირებას და გააზრებული არჩევანის გაკეთებას, ეს უკანასკნელი კი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მედიის უპირველესი ამოცანა უნდა ყოფილიყო. არხი მთლიანად გადართული იყო მმართველი გუნდის ნეგატიურ გაშუქებაზე, რეპორტაჟებში ბრალდებების გასამყარებლად ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრთა შეფასებები.

უშუალოდ ჟურნალისტების ტექსტები ხშირად გაჯერებული იყო ხელისუფლების და კონკრეტული პირების მიმართ სუბიექტური შეფასებებით.

იყო შემთხვევები, როცა ახალი ამბების წამყვანები რეპორტაჟების წარდგენისას მმართველი გუნდის მიმართ ბრალდებებს და სავარაუდო დანაშაულებს რეალურ ფაქტებად წარმოაჩენდნენ, რასაც შესაძლოა მაყურებელი შეცდომაში შეეყვანა. გარდა ამისა, რეპორტაჟების ავტორები მათ მიერ მომზადებული მასალების დასკვნით ნაწილში თავადვე აკეთებდნენ უარყოფით შეფასებებს და პროგნოზებს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

თვალშისაცემი იყო ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მიმართ ლოიალური განწყობები, რომელბსაც არ უსვამდნენ კრიტიკულ კითხვებს. ოპოზიციის ნაწილს - „გირჩს“ და „მოქალაქეებს“ კი „ქართული ოცნების“ „მეგობარ“ პარტიებად მოიხსენიებდნენ.

საანგარიშო პერიოდში, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ირაკლი ღარიბაშვილის საერთაშორისო ვიზიტები და ოფიციალურ პირებთან გამართული შეხვედრები არ გაშუქებულა. ასევე, მაყურებლისთვის უცნობი დარჩა ქართული ოცნების საარჩევნო აქტივობა. რეპორტაჟებში წინასაარჩევნო შეხვედრის ამსახველი კადრების ფონზე ამომრჩეველი მხოლოდ ქართული ოცნების ლიდერების კრიტიკას ისმენდა.

„....“ქართული ოცნება“ ისევ პოლიტიკურ მარადჟამობას გვიანონსებს და ამომრჩევლის "ფსიქოლოგიურ შტურმს" აგრძელებს...“ (20:27) - ასე წარუდგინა ახალი ამბების წამყვანმა მაყურებელს რეპორტაჟი, რომელიც 10 სექტემბერს, ყაზბეგში „ქართული ოცნების“ კანდიდატის წარდგენის დროს პრემიერის სიტყვით გამოსვლას ეხებოდა.

„ტვ პირველი“ გამოირჩევა ექსკლუზიური მასალებით, რასაც ხშირად თან ახლავს დაუსაბუთებელი, არაზუსტი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევებიც, როცა ჟურნალისტები ეყრდნობიან ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს და ე.წ. კონფიდენციალურ წყაროს, რაც მათი მხრიდან მყარი არგუმენტების გარეშე გავრცელებული ინფორმაციის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს.

22 სექტემბერს, მთავარ გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „ქართული ოცნება, გოჭი და შეშა“. ჟურნალისტი მაყურებელს არწმუნებდა, რომ მმართველმა პარტიას 40 ათასი ლარის ღირებულების გოჭები საუბნო კომისიის თავმჯდომარეებსა და უბნის მაყურებლებზე უნდა გადაენაწილებინა, თუმცა რეპორტაჟში ამის მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

წამყვანი: ...“192 შემწვარი გოჭი საარჩევნო ადმინისტრაციების თანამშრომლებისა და ქუჩის მაყურებლების მოსასყიდად. კობახიძე-ღარიბაშვილის გუნდი ადგილობრივ არჩევნებზე ხალხის მოქრთამვის ახალ პრაქტიკას ამკვიდრებს. ხმა გაძვირდა. თუ აქამდე 5 კილო კარტოფილს არიგებდნენ, ახლა ერთი შემწვარი გოჭია საჭირო. ფოთის ყველა თონე დილიდან საგანგებო რეჟიმში ქართული ოცნების დაკვეთის შესრულებაზე მუშაობს. ღუმელები არ ყოფნით, რადგან ამდენი გოჭი მათთვის ერთად ამ დრომდე არავის დაუკვეთავს. ფოთში გოჭებს არიგებენ, ხაშურში შეშას. ცივი ზამთრის წინ ადამიანებს ვისაც გაზი არ აქვთ, შეშას უფასოდ სთავაზობენ, სანაცვლოდ კი 41-ის შემოხაზვას თხოვენ...“ (19:59)

რეპორტაჟი აგებულია ოპოზიციური კანდიდატების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. მეტი დამაჯერებლობისთვის მაყურებელს აჩვენეს როგორ იწვება გოჭები ღუმელში, თუმცა ვისთვის გაურკვეველი დარჩა. მაყურებლისთვის არ უჩვენებიათ სად წაიღო „მოსყიდულმა ამომრჩეველმა“ მისთვის გადაცემული შეშა. ასევე, უცნობი დარჩა საბოლოოდ რა ბედი ეწია შემწვარ გოჭებს.

არხზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მოვლენების ცალმხრივი გაშუქება.

13 სექტემბერი, პირველები 20:00, "მასწავლებლების ფარული მოსმენა და ტერორი" - განათლების მინისტრის გადადგომის მოთხოვნით გამართული აქციის გაშუქებისას, მაყურებელმა მხოლოდ ბრალდებების ნაწილი მოისმინა და ჟურნალისტმა ბრალდების ობიექტების საპასუხო პოზიციები მას არ მიაწოდა.

(20:42) წამყვანი: „შეეწირება თუ არა კიდევ ერთი ფარული მოსმენების სკანდალს განათლების მინისტრის პოსტი? უპრეცედენტო მოსმენებისა და ტერორის შემდეგ პედაგოგები მიხეილ ჩხენკელის გადადგომას ითხოვენ. ყველამ, ვინც საკუთარი თავი შაბათის ეთერში გასულ ხმაურიან რეპორტაჟში ამოიცნო, დღეს პროტესტი განათლების სამინისტროსთან დაგეგმა და მინისტრის გადადგომა მოითხოვა. პედაგოგები, რომლებიც სუსის თვალთვალის ობიექტები

იყვნენ, ამბობენ, რომ მათზე ტერორი სწორედ განათლების სამინისტროს გავლით დაიგეგმა და სუსის პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებელი სწორედ მინისტრი ჩხენკელია“.

ჟურნალისტს არც კი უცდია მოეპოვებინა განათლების სამინისტროს პოზიცია.

„ტვ პირველი“ აქტიურად უთმობდა დროს კრიმინალური თემების გაშუქებას და ძალოვანი უწყებების უუნარობაზე ამახვილებდა ყურადღებას. ხშირ შემთხვევაში რეპორტაჟებში მოვლენებს ისე წარმოაჩენდნენ, რომ ნებისმიერ დანაშაულში ბრალდებულ ადამიანს კავშირი სწორედ „ქართულ ოცნებასთან“ ჰქონდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები: „ტვ პირველზე“ ყოველდღიურად რამდენიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა გადის: **„დღის ამბები“, „რეაქცია“, „საჯარო პოლიტიკა“, „პოლიტიკური კვირა“, „პოლიტიკური ამბები“, „პირველი ხაზი“ და „ნოდარ მელაძის შაბათი“ .**

საზოგადოებრივ პოლიტიკურ გადაცემებში მონაწილეობა არ მიუღიათ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რასაც ჟურნალისტები პარტიის ბოიკოტით ხსნიდნენ.

თბილისის მერობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა განსაკუთრებული სიმრავლის მიუხედავად, მაყურებელი მხოლოდ რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის პოზიციებს ეცნობოდა, უშუალოდ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის დებატები არ გამართულა. 3 სექტემბერს, თბილისის მერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ზაზა ხატიაშვილმა ტვ პირველთან გააპროტესტა ფაქტი, რომ მას ეთერს არ სთავაზობდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო მან მოწვევა ინგა გრიგოლიასგან.

ისევე, როგორც მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებშიც მთავარი თემა რამდენიმე დღის მანძილზე საარჩევნო თემატიკის ნაცვლად „საიდუმლო ფაილები“ გახდა, რომელიც მედიის ინფორმაციით, სავარაუდოდ, სუსიდან იყო გამოჟონილი.

მაშინ, როცა „ტვ პირველის“ ჟურნალისტები „ქართული ოცნების“ მიმართ განსაკუთებულ ნეგატიურ და ირონიულ განწყობებს არ მალავდნენ, ოპოზიციური პარტიების კონკრეტული კანდიდატების მიმართ მეგობრულ განწყობებს ღიად აფიქსირებდნენ. ლოიალურად განწყობილ სუბიექტებთან უმრავლეს შემთხვევაში არ ქონდათ კრიტიკული კითხვები.

სანგარიშო პერიოდში, გადაცემა **„საჯარო პოლიტიკა“** მაყურებელს განსხვავებულ ფორმატს სთავაზობდა. თითოეულ გადაცემაში მიწვეული იყვნენ პოლიტიკური პარტიის მერობისა და საკრებულოს კანდიდატები, წარადგენდნენ პარტიის პროგრამას და საუბრობდნენ გეგმების შესახებ, თავად წამყვანი ძირითადად მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. მსგავს ფორმატში

მონაწილეობდნენ: „ლეიბორისტული პარტია“, „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „მოქალაქეები“, „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“, „გახარია საქართველოსთვის“, „ლელო“, „ელენე ხოშტარია - დროა“.

გადაცემაში „საჯარო პოლიტიკა“ მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (ოთხჯერ) და „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ლელო“ (ორჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ორჯერ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ერთხელ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ორჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“(ერთხელ) და „ტრიბუნა“ (ერთხელ).

ამავე გადაცემაში 20 სექტემბერს შედგა დებატები, რომელშიც მონაწილეობდნენ „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“, „ევროპული საქართველო“, „გახარია საქართველოსთვის“ და „გირჩი“.

„პირველი ხაზის“ წამყვანები ხელისუფლების მიმართ სუბიექტურ განწყობებს მკვეთრად გამოხატავენ.

23 სექტემბერს გადაცემის თემა ევროკავშირის ოფისთან კობახიძე-მელიას შორის მომხდარი დაპირისპირება იყო. ვიკა ბუკია: „სიმბოლურია, რომ დაპირისპირება, რომელიც ვიხილეთ, ხდება ევროკავშირის ოფისთან, იმ ევროკავშირის, რომელსაც ყოველდღიურად გვაშორებენ. კობახიძემ ისევ "აიჩემა", არ ვიცი, სხვა სიტყვა რა შეიძლება ვთქვა, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში მიმდინარეობს, თუმცა, დღეს არათუ დაპირისპირება ვნახეთ, არამედ ვნახეთ „ქართული ოცნების“ აქტივისტების ალყაში მყოფი ელჩი, რომელსაც თურმე იმის გარანტიებსაც კი ვერ აძლევდნენ, რომ ის უსაფრთხოდ დატოვებდა ოფისს...“. (23:08)

ჟურნალისტი მაყურებელს აწვდის არასწორ ინფორმაციას, რადგან მთელი დღის მანძილზე სხვადასხვა მედიასაშუალებებით ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროკავშირის ოფისთან იმყოფებოდნენ, როგორც ირაკლი კობახიძის, ისე ნიკა მელიას მხარდამჭერები.

გადაცემაში „პირველი ხაზი“ მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (თორმეტჯერ) და „ევროპული საქართველო“ (ხუთჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ლელო“ (რვაჯერ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „მოქალაქეები“, „მესამე ძალა“ (ორჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ცხრაჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (ორჯერ) და „ტრიბუნა“ (ერთხელ).

ამავე გადაცემაში ერთხელ გაიმართა დებატები, რომელშიც მონაწილეობდნენ: „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“, „ლელო“, „ევროპული საქართველო“. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთხელ და ისიც აღნიშნულ გადაცემაში მონაწილეობდა ქართული ოცნების მხარდამჭერი.

„ნოდარ მელაძის შაბათის“ ძირითადი ნაწილი მედიაში გავრცელებულ საიდუმლო ფაილებზე დაყრდნობით იყო მომზადებული და ყოველ ჯერზე ნოდარ მელაძე მორიგი ფაილების გაჟონვას აანონსებდა. მიუხედავად იმისა, რომ ფაილების ავთენტურობა დღემდე დაუდგენელია, ჟურნალისტისთვის ეს ხელისშემშლელი ფაქტორი არ ყოფილა და ხელისუფლების წინააღმდეგ მომზადებულ რეპორტაჟებში გაჟღერებული ბრალდებების უტყუარ მტკიცებულებებად სწორედ საეჭვო წარმომავლობის ფაილებს იშველიებდა.

„ნოდარ მელაძის შაბათისთვის“ მომზადებული რეპორტაჟებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების მიზნით მაყურებელს მიეწოდება ხმაურიანი ანონსები, რომელიც ზოგჯერ მკვეთრად განსხვავდებოდა მისი შინაარსისგან და ძირითადად ჟურნალისტის ინტერპრეტაციებს და ვარაუდებს შეიცავდა.

4 სექტემბერს, ნოდარ მელაძის შაბათში გავიდა რეპორტაჟი, სადაც „ტვ პირველი“ მაყურებელს პირდებოდა წლის მთავარ ექსკლუზივს და ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო ჩანაწერს, რომელიც მაყურებელს დაარწმუნებდა „როგორ ემზადებოდა ოლიგარქი ოკუპანტ რუსეთში გადასაბარგებლად“, ასევე, მაყურებელი ნახავდა „რას ამბობს და რას ფიქრობს პუტინის რეჟიმი რეალურად ბიძინა ივანიშვილზე“.

ჟურნალისტის მტკიცებით, აუდიო ფაილებით დგინდება, რომ „ქვეყნის არაფორმალური მმართველი მოსკოვთან პირდაპირ კავშირზეა, ეშინია რუსეთის ხელისუფლების, ცდილობს არ გააბრაზოს პუტინი და ოკუპანტი ქვეყნის მმართველების მონურ მორჩილებაში იმყოფება“...

24 წუთიანი მასალის ძირითადი ნაწილი ჟურნალისტების ვარაუდებსა და ინტერპრეტაციებს მოიცავს, რომლის გარეშე ფაქტობრივად გაუგებარია ჩანაწერების შინაარსი, საერთოდ, რა თემაზე შეიძლება საუბრობდნენ ჩანაწერების მონაწილეები (ივანიშვილი და ქართუ ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, გიგა ჩრდილელი). რეპორტაჟი რამდენიმე დიალოგს შეიცავს, თუმცა ჩნდება კითხვა - რომელ დიალოგებზე დაყრდნობით ავითარებს ჟურნალისტი რეპორტაჟში გადმოცემულ სცენარს მაშინ, როცა თავად ჩანაწერის ფრაგმენტები ჟურნალისტის განმარტებების გარეშე ნამდვილად არ იძლევა იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ საერთოდ საუბარია აგვისტოს ომის შემდეგ პერიოდზე და რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთში „გადაბარგებას“ სწორედ აგვისტოს ომის შემდეგ აპირებდა.

ნოდარ მელაძის შაბათში განსაკუთრებული აქცენტები კეთდებოდა „ქართული ოცნებისა“ და კრიმინალური სამყაროს კავშირებზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს ბრალდებები მტკიცებულებებს იყო მოკლებული.

25 სექტემბერს გავიდა რეპორტაჟი კახი კალაძის და კანონიერი ქურდების კავშირების შესახებ, რომელიც ძირითადად ჟურნალისტის ვარაუდებზე იყო აგებული.

(20:08) მელაძე: „... ჩვენ მოვიპოვეთ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის კახი კალაძის გარემოცვის და კანონიერი ქურდების სავარაუდო კავშირების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლითაც დგინდება, რომ კახი კალაძემ არჩევნებში გასამარჯვებლად დახმარება კრიმინალურ ავტორიტეტებს თხოვა...“

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, მათ აქვთ ე.წ. კანონიერი ქურდის გიორგი მარსაგიშვილის იგივე "ტარაკანას" პასპორტი, რომელში ჩარტყმული შტამპებიც მიუთითებს მის მოგზაურობაზე თურქეთში, საბერძნეთში, კვიპროსზე, გერმანიაში და შემდეგ უკვე ბულგარეთში.

რა შეუთვალა კალაძის გარემოცვამ კრიმინალის ავტორიტეტებს? - ჟურნალისტის მტკიცებით, ირკვევა, რომ კრიმინალური ავტორიტეტების დახმარება კახა კალაძეს სჭირდება თბილისის რამდენიმე უბანზე და მათი წყაროს ინფორმაციით, "ტარაკანა" წავიდა იმისთვის, რომ კრიმინალურმა ავტორიტეტებმა გამოაგზავნონ ე.წ. ძველი ბიჭები და მოახდინონ ადამიანების მობილიზება, ანუ გაუშვან "ქსივა", რომ "შავები" მხარს უჭერენ 41-ს." სანაცვლოდ, კრიმინალები ბენეფიტებს მიიღებენ, მათ შორის მშენებლობებზე ნებართვებს და 40-მდე მსჯავრდებული ვადაზე ადრე დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას. კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, ჟურნალისტი მაყურებელს არწმუნებს, რომ ევროტურში "ტარაკანა" კახა კალაძის ცოლის ძმამ გიორგი არეშიძემ გააგზავნა, მან უნდა გააფორმოს შეთანხმება კალაძის გუნდსა და "შავებს" შორის.

„ტვ პირველი“ მაყურებელს სხვადასხვა დროს გადაღებულ ფოტოებზე დაყრდნობით აწვდის ინფორმაციას მარსაგიშვილის კანონიერ ქურდებთან კავშირის შესახებ.

ჟურნალისტი: "ის, რომ გიორგი მარსაგიშვილი თურქეთში კანონიერ ქურდებთან შესახვედრად იმყოფება, ეს ფოტოებიც ადასტურებს.... ქართულ ოცნებას ახლა ყველაზე მეტად გლდანში უჭირს, ამიტომ დახმარება ნოდო "გლდანსკის" თხოვეს, რომელიც სასჯელს საბერძნეთის ციხეში იხდის. ჩვენი ინფორმაციით, კალაძის ცოლისძმის შუამავალი "ტარაკანა" ნოდო გლდანსკის ციხეში რამდენჯერმე შეხვდა საქართველოდან ჩატანილი ტკბილი ამანათით. აი ფოტოც, რომელიც სალონიკის ციხის პაემნების ოთახშია გადაღებული. კადრში ჩანან ტარაკანა, ნოდო გლდანსკი და ქართული ლიმონათი..."

მაყურებელმა მოისმინა ვარაუდები, ეჭვები, ბრალდებები, თუმცა ვერ ნახა მტკიცებულებები, რომ გიორგი მარსაგიშვილი იგივე "ტარაკანა" რაიმე ფორმით იყო დაკავშირებული კალაძესთან და მის ცოლის ძმასთან. როგორც რეპორტაჟიდან ირკვევა, მთავარი მტკიცებულება აღმოჩნდა ფოტოები, თუმცა ამ ფოტოებში არსად ჩანან მთავარი ბრალდებულები - გიორგი არეშიძე და კახა კალაძე.

გადაცემა **„პოლიტიკური კვირა“** ყოველი კვირის ბოლოს გადის ეთერში. ეკა მიშველაძე ქართული ოცნების და ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ ნეგატიური განწყობებს ღიად გამოხატავდა. მისი მონოლოგები გაჯერებული იყო ირონიული ტექსტებით.

5 სექტემბერს „ტვ პირველი“ ეთერში ხარვეზებით გადიოდა, რასაც ჟურნალისტი კიბერშეტევას უკავშირებდა.

5 სექტემებრს, პოლიტიკური კვირა, 20:52:42 მიშველაძე: ...არადა კიბერთავდასხმისთვის მიზეზი ნამდვილად ბევრი აქვს ხელისუფლებას, მარტო ღარიბაშვილის "სიბრძნეები" რომ გავუშვათ ეთერში ან ციტატებად წავიკითხოთ, ისიც კი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ხალხმა საბოლოოდ გაათვიცნობიეროს რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა მისი ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში...“

თუ გასულ თვეში ჟურნალისტი ღარიბაშვილს მუდმივად მის "პატრონს - ბიძინა ივანიშვილს" ახსენებდა, ამჯერად უკვე მას ბიძინა ივანიშვილის "მსახურად" მოიხსენებდა.

19 სექტემბერი, პოლიტიკური კვირა, 20:57 ეკა მიშველაძე: „...ხომ ყველას გვახსოვს ბიძინას სიტყვები - რა უნდა ამერიკელებს შავ ზღვაში? მისი „მსახური“ ღარიბაშვილი დღესაც განაგრძობს იგივე რიტორიკას....“

ეკა მიშველაძემ საკუთარი პოლიტიკური განწყობები „ქართული ოცნების“ მიმართ ღიად დააფიქსირა გადაცემაში “პირველი ხაზი“. ის მთელი გადაცემის მანძილზე იმეორებდა, რომ ეს არჩევნები „ქართული ოცნებისთვის“ "ბოლო ჟამი" იყო.

16 სექტემბერი, მიშველაძე: „...ქართული ოცნებისგან შეიძლება ყველაფერს ველოდოთ ისეთ აგონიაში არიან ესენი და ისეთ შეცდომებს უშვებენ და საერთოდ ამოვარდნილი არიან ყველანაირი სისტემიდან, უკვე აღარ იციან როგორ მოიქცნენ, მაგრამ 2 ოქტომბერი ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, არა ის რომ უბრალოდ არჩევნებია, მე მჯერა ისე როგორც არასდროს, ეს ხელისუფლება 2 ოქტომბერს დასრულდება....“ (23:46)

გადაცემაში „პოლიტიკური კვირა“ მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ) და „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ლელო“ (სამჯერ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“, „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „პროგრესი და თავისუფლება“ (ერთხელ),

„ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ორჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (ერთხელ).

ამავე გადაცემაში დებატები შედგა 5 სექტემბერს, რომელშიც მონაწილეობდნენ: „ელენე ხოშტარია - დროა“, „ლელო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „მესამე ძალა“ და „გახარია - საქართველოსთვის“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში „რეაქცია“ მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (ხუთჯერ) და „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ლელო“ (ექვსჯერ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „სახალხო პარტია“ (ერთხელ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ერთხელ), „გახარია - საქართველოსთვის“ (სამჯერ), „პროგრესი და თავისუფლება“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ) და დამოუკიდებელი კანდიდატი კახა ცისკარიძე (კახა ცისკარიძე).

გადაცემაში დებატები შედგა 7 სექტემბერს, რომელშიც მონაწილეობდნენ: „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“, „ლელო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და „გახარია - საქართველოსთვის“. ასევე, დებატები შედგა 9 სექტემბრის გადაცემაში და მასში მონაწილეობდნენ: „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“, „ლელო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „მესამე ძალა“ და „გახარია - საქართველოსთვის“.

გადაცემა **„პოლიტიკური ამბები“** ეთერში მხოლოდ წინაასარჩევნოდ გავიდა, რომელსაც ორი წამყვანი ყავდა: ინგა გრიგოლია და დიანა ტრაპაიძე.

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში „პოლიტიკური ამბები“ მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (ოთხჯერ) და „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ლელო“ (ოთხჯერ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (სამჯერ) და „გახარია - საქართველოსთვის“ (ოთხჯერ).

ამავე გადაცემაში დებატები შედგა 10 სექტემბერს, რომელშიც მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“, „მოქალაქეები“ და „გახარია - საქართველოსთვის“. 17 სექტემბერს კი დებატებში მონაწილეობდნენ „ნაციონალური მოძრაობა“, და „გახარია - საქართველოსთვის“ წარმომადგენლები.

საერთო ჯამში, „ტვ პირველის“ გადაცემები და მთავარი საინფორმაციო გამოშვება მიკერძოებული და დაუბალანსებელი იყო ოპოზიციის სასარგებლოდ.

არჩევნების დღეს „ტვ პირველი“ სპეციალური ეთერით გავიდა. მაყურებელს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებოდა ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით არჩევნების მიმდინარეობის შესახებ.

ჟურნალისტები ცდილობდნენ დარღვევების შესახებ მოსახლეობა სრულად ყოფილიყო ინფორმირებული, გადაიცემოდა დაპირისპირების ამსახველი კადრები, თუმცა იყო ჟურნალისტების მხრიდან მანიპულაციის შემთხვევებიც, როცა ისინი ეცადნენ მომხდარი განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოეჩინათ და მაყურებელი დაერწმუნებინათ, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბების სხვადასხვა მეთოდს იყენებდა.

00:12 "ოპოზიციის ბიულეტენები ნაგავში გადაყარეს", ჟურნალისტი: „...ექსკლუზიური კადრები მარნეულიდან და დარღვევების მთელი კასკადი, რომელიც ნათლად აჩენს რა ვითარებაში მიმდინარეობდა მთელი საარჩევნო პროცესი და ახლა უკვე ხმების დათვლა. მარნეულში ოპოზიციის სასარგებლოდ შემოხაზულ ბიულეტენებს აზიანებენ და ნაგავში ყრიან. „ტვ პირველმა“ ექსკლუზიური კადრები მარნეულის იმ საარჩევნო უბანზე გადაიღო, სადაც უცხო პირები სწორედ იმ დროს გადაადგილდებოდნენ, როცა ხმების დათვლის პროცესი მიმდინარეობდა, მაშინ, როცა ეს კანონით დაუშვებელია და ბიულეტენების ნაწილი ამ დროს იატაკზე ეყარა...“

ჟურნალისტები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ იატაკზე ეყარა ბიულეტენები, თუმცა საარჩევნო პროცედურების პირდაპირ ეთერში არაერთხელ გაშუქებისას კარგად ჩანდა, რომ ძირს იყრებოდა მხოლოდ გახსნილი და უკვე დაცარიელებული კონვერტები და რეპორტაჟში გამოყენებული კადრები არ იძლევა იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ ეს ბიულეტენებია და არა კონვერტები.

უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნების მიმდინარეობის პარალელურად, ჟურნალისტები მაყურებელს განსაკუთრებული სიხშირით ახსენებდნენ, რომ „ძველი ბიჭები“ და კრიმინალური პოლიცია აქტიურად იყო ჩართული „ქართული ოცნების“ გადასარჩენად და გადამწყვეტ არჩევნებში ხმების მობილიზებისთვის, თუმცა ჟურნალისტების მიერ მოწოდებულ მასალებში არ დასტურდება, რომ ე.წ. ძველი ბიჭები ამომრჩევლის ხმების მოპოვებას ახდენენ.

საანგარიშო პერიოდში გადაცემა „დღის ამბები“ ეთერში დღის მანძილზე რამდენჯერმე გადიოდა. გადაცემას სტუმრობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (სამოცდაორჯერ) და „ევროპული საქართველო“ (ოცდაერთჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ათჯერ), „ლელო“ (ოხდაათჯერ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „გირჩი“ (რვაჯერ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (რვაჯერ), „კანონი და სამართალი“ (რვაჯერ), „ემსახურე საქართველოს“ (ოთხჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (სამჯერ), „მოქალაქეები“ (ორჯერ), „მესამე ძალა“ (ცხრამეტჯერ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ხუთჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ოცდაჩვიდმეტჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (რვაჯერ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „ტრიბუნა“ (ოთხჯერ) და „პროგრესი და თავისუფლება“ (ხუთჯერ).

ამავე გადაცემაში რამდენჯერმე შედგა დებატები რამდენიმე პარტიის წარმომადგენელს შორის: „ნაციონალური მოძრაობა“ (ოთხჯერ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ლელო“ (ოთხჯერ) „ტრიბუნა“ (ერთხელ) და „გახარია - საქართველოსთვის“ (რვაჯერ).

საანგარიშო პერიოდში არხზე გადიოდა გასართობი გადაცემა **„პირველამდე“**, რომელშიც მონაწილეობდა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი სოფიო ჯაფარიძე.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ პირველის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
84%
16%
ნაციონალური მოძრაობა
52%
48%
საქართველოს მთავრობა
84%
16%
ლელო
45%
55%
ევროპული საქართველო
31%
69%
სახალხო პარტია
72%
28%
გახარია - საქართველოსთვის
70%
30%
ადგილობრივი მთავრობა
79%
21%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
1%
45%
54%
1%
75%
24%
74%
26%
81%
19%
3%
95%
2%
49%
50%
2%
84%
13%
1%
37%
62%
ადგილობრივი მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
სახალხო პარტია
ევროპული საქართველო
ოელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება





შპს „მთავარი არხი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 33.6% (პოზიტიური - 1%, ნეგატიური - 71%), „ნაციონალური მოძრაობა“ –

26.4% (პოზიტიური - 11%, ნეგატიური - 2%), საქართველოს მთავრობა - 8.6% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 76%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 5%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საანგარიშო პერიოდში „მთავარი არხი“ ლოიალური იყო ოპოზიციის, განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი კანდიდატების მიმართ. მთავარი არხი მმართველი პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლების მისამართით მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. სააგნარიშო პერიოდში მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები და წამყვანები ღიად აფიქსირებდნენ სიმპათიებს ოპოზიციის მიმართ და მაყურებელს მოუწოდებდნენ თვითმმართველობის არჩევნებზე ხმა მიეცათ ყველა პარტიისთვის „ქართული ოცნების“ გარდა.

ანალოგიური ვითარება იყო პოლიტიკურ თოქ-შოუებში, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არა წამყვანი და რესპოდენტი, არამედ თანამოაზრეები საუბრობდნენ. ხშირი იყო შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება, როგორც რესპოდენტების, ასევე გადაცემის წამყვანების მხრიდან.

არხზე ხშირად გადიოდა ცალმხრივი და დაუბალანსებელი სიუჟეტები, ასევე ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები ძირითადად მთავრობის და „ქართული ოცნების“ მიმართ. სააგნარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებაში „მთავარი 9-ზე“ იშვიათად შუქდებოდა საარჩევნო სუბიექტების შეხვედრები ამომრჩეველთან და მათი საარჩევნო პროგრამები თუ აქტივობები. „მთავარ არხზე“ ძირითადად „ნაციონალური მორაობის“, „ელენე ხოშტარია - დროას“ და უფრო ნაკლებად „ევოპული საქართველოს“, „გირჩი-მეტი თავისუფლების“, „ლელოს“ საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული აქტივობები შუქდებოდა. „ქართული ოცნების“ არცერთი წარმომადგენლის წინასაარჩევნო შეხვედრა მაუწყებელს არ გაუშუქებია, ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ ოთხ სექტემბერს გადაცემა „მთავარ დებატებში“, სადაც გადაცემის მეორე ნაწილის სტუმარი ლადო ბოჟაძე იყო.

არხი მმართველი ძალისა და მთავრობის მიმართ არ იშურებდა შემდეგ ეპითეტებს: „ოლიგარქის პოლიტიკური კლანი“ 07.09 (21:01:37), „ოლიგარქის რეჟიმი“ 08.09 (21:15:41), “ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კლანი“ 10.09 (21:20:24), „ქართული ოცნება უტიფრობის მწვერვალებს იპყრობს“ 22.09 (21:07).

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „მთავარი 9-ზე“ არ გააშუქა პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი გაეროს შტაბ-ბინაში, მისი შეხვედრები და სიტყვით გამოსვლა 22.09, ასევე პრემიერის ვიზიტი ბაქოში 29.09, სომხეთის პრემიერის ვიზიტი საქართველოში 08.09 და მისი შეხვედრები ქვეყნის მთავარ პირებთან.

არხის მთავარ გამოშვებაში ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებებიც, რომლებიც ფაქტებით არ იყო გამყარებული 10.09 (21:00), სიუჟეტში „დაგვიანებული ჟანგბადი“, რომელიც კოვიდპანდემიას და კლინიკების ჟანგბადით მომარაგებას ეხებოდა, წამყვანმა თქვა, რომ ჟანგბადის მარაგი ქვეყნის სავადმყოფოებში აღარ იყო, ჯანდაცვის და ეკონომიკის სამინისტროებმა კი დააგვიანეს, ახლა დაიწყეს შესყიდვები და საჭირო აპარატურის მობილიზება. სიუჟეტში იყო ღია ბრალდებები ჯანდაცვის სამინისტროსა და მინისტრის მიმართ, რომ დააგვიანეს რეაგირება და ჟანგბადის გარეშე დარჩენილი პაციენტები იღუპებოდნენ. სიუჟეტში მხოლოდ ის ირკვეოდა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროს დამატებით ჟანგბადის გენერატორების შესყიდვას თხოვდა. არსაიდან ჩანდა, რომ ჟანგბადის ნაკლებობა იყო ან ამ მიზეზით ვინმე გარდაიცვალა. პირიქით, აუდიო ჩანაწერში რესპოდენტები ამბობდნენ, რომ ჟანგბადი ამ ეტაპზე საკმარისი ჰქონდათ. ადგილი ჰქონდა მანიპულაციას, თითქოს ჟანგბადის ნაკლებობის გამო ხდებოდა კოვიდინფიცირებული პაციენტების გარდაცვალება.

„მთავარ არხზე“ 02.10 (22:33:11) გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „მოსყიდვის ფაქტები იმერეთში“, სადაც წამყვანი და ჟურნალისტი საუბრობდნენ ამომრჩევლის უპრეცედენტო მოსყიდვის ფაქტებზე, რომ მოპოვებული ჰქონდათ ვიდეო მასალა, თუ როგორ სთავაზობდნენ 500 ლარს ადგილობრივებს მმართველი გუნდის მხარდამჭერები, რეპორტაჟში კი არ იყო ამისი არც ვიზუალური და არც დოკუმენტური დადასტურება.

„მთავარში 9-ზე“ ცალმხრივი საიუჟეტებიც მრავლად გადიოდა, მაგ. 10.09 (21:31) „მოსყიდვა და დაშინება წინასაარჩევნოდ“, სიუჟეტში საუბარი იყო პოლიციის მიერ პოლიტიკურ დევნაზე, ეთერში გავიდა დაზარალებულის და ოპოზიციის წარმომადგენლების კომენტარები, საპირისპირო პოზიცია წარმოდგენილი არ ყოფილა.

„მთავარი არხი“ ხშირად უთმობდა პირდაპირ ეთერს ოპოზიციის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით „ნაციონალურ მოძრაობას“, შუქდებოდა მათი წინასაარჩევნო წარდგენები და განცხადებები.

15 სექტემბრიდან არხი აშუქებდა „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატების აქტივობებს. სიუჟეტების ციკლი სახელწოდებით „გაჩერებული ქალაქები“ იყო ჩანახატები კანდიდატებზე. მერობის კანდიდატები ყვებოდნენ იმ პროექტების შესახებ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს იყო დაწყებული და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს გაჩერდა. ასეთი ჩანახატები გაკეთდა რვა მერობის კანდიდატზე.

საანგარიშო პერიოდში 07.09 (01.01) არხმა გააშუქა „იპსოს“ წინასაარჩევნო კვლევა, გაშუქების ყველა ნორმა დაცული იყო. 02.10, 20:00 საათის შემდეგ, როდესაც საარჩევნო უბნები დაიხურა

გაშუქდა „იპსოს“ ეგზიტპოლის შედეგები, ეგზიტპოლის გაშუქების კანონმდებლობით დადგენილი ყველა ნორმაც დაცული იყო.

საზოგადოებრივი-პოლიტიკური პროგრამები: გადაცემა **„დღის სტუმარი“** დღეში სამჯერ გადის ეთერში. გადაცემაში მიწვეული სტუმრების აბსოლუტური უმრავლესობა ოპოზიციის წევრები იყვნენ. წამყვანი ტენდენციური იყო და არ მალავდა სიმპათიებს ოპოზიციის მიმართ. გადაცემაში წამყვანების და რესპოდენტების მხრიდან ისმოდა შეურაცხმყოფელი განცხადებები.

27.09. (19:19) გიგი უგულავა: „ახლა ეს კაცი, რომ უტიფარია და უტვინოა და საერთოდ რა კავშირი აქვს უსაფრთხოებასთან ვერ ხვდება (საუბრობს გრიგოლ ლილუაშვილზე). რამე ისეთს ვაკეთებო იკითხა, დიახ! მე მინდა მივმართო ყველა რიგით თანამშრომელს ჩვენი უსაფრთხოების სამსახურებს, იქ არის კიდევ ბევრი ნორმალური ადამიანი, რომელსაც უნდა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა და არა ამ მანქურთების და სახესების, ივანიშვილის მონების ერთუჯრედიანი, გაუნათლებელი, ბრიყვების მსახურება.“ 19:21:05 „ეს ადამიანი ლილუაშვილი დღეს საუბრობდა როგორც ჩვეულებრივი ვოლსკი ან კობახიძე, ამ ადამიანს გაცნობიერებულიც არ აქვს, ვინ ეკითხება ამ ბრიყვს და ბოგანოს, ეკლესიას ებრძვის ის ვინც აღსარებას ისმენს, მერე იმდენი ტვინიც არ აქვს, რომ ამ აღსარებამ არ გამოჟონოს და ადამიანები უბედურებაში არ გახვიოს.“ წამყვანს სტუმრისთვის კორექტულობისკენ არ მოუწოდებია.

30.09 (19:36) ნიკა გვარამიას ბრიფინგი - „2 ოქტომბერს ეს ყველაფერი უნდა დასრულდეს, ეს არ არის ჩემი პოლიტიკური მოწოდება, ეს არის ჩემი პატრიოტული მოწოდება. ან ქვეყანას გადაარჩენთ, ან ქვეყანა ვერ გადაგარჩენთ თქვენ ვერასდროს, რადგან აღარ გექნებათ თქვენ სამშობლო. ან ვრჩებით ამ ქვეყნის ნორმალური პატრიოტი საზოგადოება, ან რჩება ეს ხროვა, რომელიც საქართველოს მართავს და ამ ხროვის ნაწილი ხდება ის ხალხი, რომელიც ამ ხელისუფლებას ირჩევს." (19:37:24) "ადამიანს მორალური სიმაღლიდან იმაზე ელაპარაკო სამშობლოში უნდა დაბრუნდეს თუ არა მაშინ, როცა გმართავს მოღალატე ღარიბაშვილი, გამყიდველი ივანიშვილის ხელშია ეს ქვეყანა და იდიოტების ხროვაში არის დარჩენილი ეს ყველაფერი.“

გადაცემა **„დღის სტუმარს“** სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკოსები: „ნაციონალური მოძრაობა“ (ოცდაერთჯერ) ჩართვაში, (ჩვიდმეტჯერ) სტუდიაში, „ლელო“ (ხუთჯერ) ჩართვაში, (თოთხმეტჯერ) სტუდიაში, „ევროპული საქართველო“ (ცხრაჯერ) ჩართვაში, (ხუთჯერ) სტუდიაში, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ოთხჯერ) ჩართვაში, (ორჯერ) სტუდიაში, „ელენე ხოშტარია-დროა“ (ხუთჯერ) ჩართვაში, (ექვსჯერ) სტუდია, „კანონი და სამართალი“ (ერთხელ) ჩართვაში, (ორჯერ) სტუდიაში, „მესამე ძალა“ (ორჯერ) ჩართვაში, (ორჯერ) სტუდიაში, ანა დოლიძე „მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთჯერ) სტუდიაში, „ლეიბორისტული პარტია“ (ერთჯერ

ჩართვაში, (სამჯერ) სტუდიაში, „გახარია- საქართველოსთვის“ (ერთხელ) ჩართვაში, (ერთხელ) სტუდიაში, „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ) ჩართვაში, (სამჯერ) სტუდიაში, „დავით ჭიჭინაძე-ტრიბუნა“ (სამჯერ) სტუდიაში, „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ) სტუდიაში, პ.პ.“სამართლიანობისთვის“ (ერთხელ) ჩართვაში, (ერთხელ) სტუდიაში, ჭიათურის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ნოდარ ჩაჩანიძე (ერთხელ) სტუდიაში.

გადაცემა **„მთავარი აქცენტები“** კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში, წამყვანი ღია სიმპათიებს გამოხატავდა ოპოზიციის მიმართ, ახმოვანებდა დაუსაბუთებელ ბრალდებებს და არ ერიდებოდა შეურაცხმყოფელ ლექსიკას.

გადაცემის წამყვანი მოუწოდებდა მაყურებელს ხმა არ მიეცათ „ქართულ ოცნებისთვის“. 06.09 (22:50) "დიდი მადლობა ბატონო მიხეილ, დაველოდებით საჯარო განცხადებებს, გეგმების საჯაროდ წარდგენას და, რაც მთავარია, დაველოდებით რეფერენდუმს, იმედი მაქვს, რომ მშვიდობიანად და კარგად ჩატარებულს და იმედი მაქვს, რომ ვიხილავთ ხელისუფლების მშვიდობიან გადაბარებას. თავის თავად ცხადია, რომ „ქართულ ოცნებას“ თუ არა გაყალბებით, თუ არადა შანსი არ გააჩნია უბრალოდ ხელისუფლების შენარჩუნების", „2 ოქტომბერს მოდით რეფერენდუმზე, შემოხაზეთ ნებისმიერი 41-ის გარდა და მოვიპოვოთ ერთად თავისუფლება.“

12 სექტემბერს (22:42:20) გასულ გადაცემაში წამყვანი „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატების რეალური სახეზე საუბრობდა, მან ჩამოთვალა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატები რეგიონების მიხედვით, რომლებიც უშიშროებაში და ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდნენ ან იყვნენ უშიშროების „აგენტები“, ასევე მათ „აგენტურული სახელები“, უშიშროებაში მათი საქმიანობა და მიცემულ დავალებებიც კი. რამდენიმე კანდიდატის კრიმინალურ დანაშაულებებზეც ისაუბრა. აცხადებდა, რომ ინფორმაციას ავრცელებდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს „რეკრუტირებულ აგენტებზეც“. წამყვანს გადაცემა მონოლოგის რეჟიმში მიყავდა. არ დაუსახელებია ინფორმაციის წყარო, ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები.

წამყვანს არ უსაუბრია სხვა პარტიების შესახებ, არის თუ არა იგივე მდგომარეობა სხვა საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებაშიც. წამყვანმა გადაცემა დაასრულა შემდეგი ტექსტით: (23:15:17) "გილოცავთ ყველას, თქვენ მოგიწევთ არჩევანის გაკეთება ან აგენტი, რომელიც იწერს, უთვალთვალებს, იღებს მათ შორის პირად ცხოვრებას და შეიძლება თქვენც იყოთ მათ შორის, აგზავნის ცენტრში... ან ყველა სხვა დანარჩენს შორის. არჩევანი თქვენზეა ან სიბინძურე, ან ქვეყნის მომავალი. ეს გადაცემა სპეციფიურად არის ძალიან მოკლე, იმისთვის, რომ კარგად დაინახოთ და გაიაზროთ შემდეგი ჩემი ზედმეტი კომენტარების გარეშე რა არჩევანის წინაშე დგახართ და რას გაკადრებთ „ქართული ოცნება“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემა „მთავარ აქცენტებში“ სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: „ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ) ჩართვაში, (ერთხელ) სტუდიაში, „ევროპული საქართველო“ (ერთხელ) ჩართვაში, „ლელო“ (ერთხელ) ჩართვაში, „ელენე ხოშტარია დროა“ (ერთხელ) ჩართვაში, „მესამე ძალა“ (ერთხელ) ჩართვაში, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ) ჩართვაში, ანა დოლიძე „მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ) ჩართვაში, „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ) ჩართვაში.

გადაცემა **„მთავარი დებატები“** კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში, გადაცემას კლასიკური დებატების ფორმა არ აქვს, არ იყო დაცული პარიტეტი პარტიებს შორის და მათ თანაბარი დრო არ ეთმობოდათ. თითქმის ყველა გადაცემაში წამყვანი შესავალ სიტყვაში თემის ირგვლივ საკუთარ აზრს აფიქსირებდა, რაც მის მიკერძოებულობაზე მეტყველებდა, ამასთან ეს გადაცემა არხზე ერთადერთი იყო, სადაც „ქართული ოცნების“ წევრმა მიიღო მონაწილეობა.

სეზონის გახსნიდან პირველივე გადაცემაში 04.09რომელშიც „ქართული ოცნების“, “გახარია-საქართველოსთვის“, დამოუკიდებელი დეპუტატი - სალომე სამადაშვილი, დამოუკიდებელი დეპუტატი - თამარ კორძაია და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, წამყვანმა ყველა სტუმარს მისცა აზრის გამოთქმის და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება. მეორე ნაწილში გადაცემას „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ლადო ბოჟაძე შეუერთდა, რაც წამყვანმა ცალკე აღნიშნა და იმედი გამოთქვა, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მისი გადაცემის ხშირი სტუმრები იქნებიან. უმეტესად ისმოდა ურთიერთბრალდებები, მაგრამ არაფერი მათი პარტიების დაპირებების ან პროგრამების შესახებ.

11.09.2021 გადაცემაში მოწვეულები იყვნენ თანამოაზრეები ოპოზიციიდან, სტუმრები არ კამათობდნენ ერთმანეთთან, არ წარმოადგენენ საარჩევნო პროგრამებს. გადაცემის წამყვანიც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მათი თანამოაზრეა და ღიად გამოხატავდა მხარდაჭერას ოპოზიციის მიმართ. გადაცემაში მონაწილეობდნენ „ელენე ხოშტარია-დროა“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“, „ნაციონალური მოძრაობა“ წარმომადგენლები.

გადაცემა „მთავარი დებატებში“ სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: „ქართული ოცნება“ (ერთხელ) სტუდიაში, „გახარია - საქართველოსთვის“ (ორჯერ) სტუდიაში, „ელენე ხოშტარია - დროა“ (ორჯერ) სტუდიაში, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ) სტუდიაში, „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ) სტუდიაში, „დავით ჭიჭინაძე-ტრიბუნა“ (ერთხელ) სტუდიაში, „ლელო“ (ერთხელ) სტუდიაში, „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ) სტუდიაში, „ევროპული საქართველო“ (ერთხელ) სტუდიაში.

გადაცემა **„მთავარი შაბათს“** კვირის შემაჯამებელი გადაცემაა. სიუჟეტებში ძირითადად „ქართული ოცნების“ და მთავრობის წინააღმდეგ დაუსაბუთებელი ბრალდებები და ირონიული გამონათქვამები ისმოდა.

04.09-ში გასული სიუჟეტი „ყველაფერი ნაციონალების ბრალია“ (21:34), რომელიც „ქართული ოცნების“ დეპუტაციის და პრემიერის განცხადებების იმ ნაკრებს ეძღვნებოდა, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავეა თითქმის ყველაფერში, საუბარი იყო მძიმე ცხრა წლიან მემკვიდრეობაზე. (21:35:56) "ხელისუფლების ამ ყელგასული პროპაგანდის შედეგია ის იდიოტური კომენტარები, რომელთა მოსმენა ჩვენ ძალიან ხშირად გვიწევს", (21:36:37) "ნაციონალების ბრალია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ცისტიტიც. აი ვთქვათ ირაკლი ღარიბაშვილმა, რომ თავისი ცოლის ძმის შვილით დაწყებული სიმამრის გერით დამთავრებული სხვადასხვა სამინისტროს მაღალჩინოსნებად დანიშნა ეგეც რა თქმა უნდა ნაციონალების ბრალია", (21:37:42) "მას გამოექომაგა „ქართული ოცნების“ პარტიული აქტივისტი და შემდგომში საქართველოს თავდაცვის გამორჩეულად უსახო მინისტრი ლევან იზორია".

18.09.2021 (21:21:39) - გადაცემაში გავიდა სიუჟეტი „კრიმინალების არჩევნები“, სადაც საუბარია იმერეთში „ქართული ოცნების“ საარჩევნო კანდიდატებზე, მათ კრიმინალურ წარსულზე, ბიზნეს ინტერესებზე და გავლენებზე, მაგრამ ჟურნალისტის სიტყვების დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება მოყვანილი არ არის.

25.09 (21:23) - გადაცემაში გავიდა სიუჟეტი - „ქურდების შეხვედრა საარჩევნოდ“ - სიუჟეტში საუბარი იყო „ქართული ოცნების“ კავშირებზე კანონიერ ქურდებთან და არჩევნებში კრიმინალების დახმარებაზე. რეპორტაჟში ნათქვამი იყო, რომ თურქეთში ქართველი კანონიერი ქურდების შეხვედრა წინასაარჩევნოდ ე.წ. „ქუჩის დალაგებისთვის“ შედგა. ჟურნალისტი ინფორმაციის წყაროს არ ასახელებდა, საკუთარი სიტყვების დამადასტურებელი ფაქტები არ მოუყვანია, ბრალდების ადრესატი კახა კალაძე კი უარყოფდა ასეთი შეხვედრის არსებობას.

გადაცემა **„მთავარი შაბათს“** სიუჟეტებში დრო დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ), ადგილობრივი მთავრობა (ორჯერ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), „საქართველოს მთავრობა“ (სამჯერ), „ელენე ხოშტარია- დროა“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ერთხელ), „გახარია-საქართველოსთვის“ (ორჯერ) „აჭარის მთავრობა“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში „მთავარ არხზე“ კვირაში ერთხელ კვირის შემაჯამებელი გადაცემა **„პოსტ ფაქტუმი“** გადიოდა. გადაცემაში წამყვანი და ჟურნალისტები იყენებდნენ ირონიულ გამონათქვამებს და მიკერძოებულნი იყვნენ თავის გამონათქვამებში ოპოზიციის მიმართ.

26.09 გადაცემაში გავიდა სიუჟეტი, სადაც ადგილი ჰქონდა პიროვნული შეურაცხყოფის ფაქტებს: (21:36) "საოცნებო აღმშენებლობა" „ქართულ ოცნებაში“ დასაწინაურებლად კანდიდატებს მუცლით მეზღაპრეობის გამოცდას აბარებინებენ, აბა ერთი ბიძინა გამიკეთე - ისეთი რამ დააბრეხვე ტაში რომ დაგიკრან, ტყუილია, მართალია, შეასრულებს არ შეასრულებს ეს არავის აღარ აინტერესებს. ამ ნიჭით დაწინაურდა კახა კუჭავა, რომელსაც ერთი წლის წინ არავინ იცნობდა, სამაგიეროდ ახლა ისეთებს ამბობს ყველა ჩუმდება".

26.09 სიუჟეტში "კობა ნაყოფია-სენაკის მერობის კანდიდატი" ნაყოფია სენაკთან დაკავშირებით მის სამომავლო გეგმებზე და რეგიონის განვითარებაზე საუბრობდა, სიუჟეტის ავტორი მას დადებითად ახასიათებდა და პოზიტიურ კონტექსტში წარმოაჩენდა. სიუჟეტის დასრულების შემდეგ წამყვანმა ღია სიმპათია გამოხატა კანდიდატის მიმართ: (22:25) „მე წარმატებას ვუსურვებ კობა ნაყოფიას იმიტომ, რომ მასთან არაერთხელ მქონია საქმიანი შეხება და ვიცი, როგორი ერთგული და თავდადებულია ის იმ საქმისთვის, რომელსაც ხელს მოკიდებს.“ შემდეგ კი დაანონსა,რომ კობა ნაყოფიას შემუშავებული სენაკის განვითარების გეგმის პრეზენტაციას არხი პირდაპირ ეთერში წარმოადგენდა.

გადაცემა „პოსტ ფაქტუმის“ სიუჟეტებში დრო დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), „ლელო“ (ერთხელ), თამარ კორძაია-დამოუკიდებელი დეპუტატი (ერთხელ),“ ნაციონალური მოძრაობა“ (ოთხჯერ), „მესამე ძალა“ (ორჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (სამჯერ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „გახარია-საქართველოსთვის“ (სამჯერ), „ელენე ხოშტარია-დროა“ (ორჯერ), „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ), „საქართველოს მთავრობა (ორჯერ), „აჭარის მთავრობა“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), ანა დოლიძე - „ მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადიოდა პოლიტიკური თოქ-შოუ **„ღამის მთავარი“,** რომელშიც წამყვანი იწვევდა პოლიტიკოსებს, ექსპერტებს ან საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს და მათთან კვირის მთავარ თემებზე საუბრობდა. გადაცემა ტენდენციური იყო, მასში მხოლოდ ოპოზიციის წევრები სტუმრობდნენ, ამ გადაცემისთვის უცხო არ იყო შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და სიძულვილის ენა.

07.09 გასულ გადაცემაში წამყვანი ამბობს: (21:07) „სად ვართ ჩვენ ქართველები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პირველად ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ევროკავშირსა და მთლიანად დასავლეთს ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნული ხელისუფლება ღიად დაუპირისპირდა, როდესაც ამ ქვეყნის პრემიერ მინისტრად წოდებულმა კაცმა, ოლიგარქის ხეპრე ხელქვეითმა კარი მიუჯახუნა ჩვენს მთავარ მეკავშირეებს."

21.09 გასულ გადაცემაში წამყვანი ამბობდა: (22:13) "ყველაზე მეტად, რაც კალიგულას გვახსენებს ეს არის ივანიშვილის პროგრესირებადი სიგიჟე, შეშლილობა, რომელიც უფრო და

უფრო შემაშფოთებელი ხდება. თან ეს არის კოლექტიური სიშლეგე, რადგან მასში მონაწილეობა მოეთხოვება ყველას ვინც მისი პოლიტიკური გუნდის წევრია, სხვანაირად შეუძლებელია დარჩე შეშლილი პატრონის ერთგული."

ამავე გადაცემაში (22:16) "რომ შევაჯამოთ ის, რასაც ჩვენ ვუყურებთ განსაკუთრებით ბოლო პერიოდის განმავლობაში, არის სიგიჟით გაჯერებული სურეალიზმი, რისი აღწერა სიტყვებით უბრალოდ შეუძლებელია. ივანიშვილი ან სულ გაგიჟდა და ამ სიგიჟის მონაწილედ ხდის თავის ყველა მონას, ან არქიფო სეთურის აი ამ ფილოსოფიას მისდევს (ნაწყვეტი ფილმიდან დათა თუთაშხია)".

გადაცემა **„ღამის მთავარს"** სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: „გახარია-საქართველოსთვის" (ერთხელ) სტუდიაში, თამარ კორძაია-დამოუკიდებელი დეპუტატი (ერთხელ) სტუდიაში, პ.პ."სამართლიანობისთვის" (ერთხელ) სტუდიაში, „ნაციონალური მოძრაობა" (ოთხჯერ) ჩართვაში, „ევროპული საქართველო"(ერთხელ) ჩართვაში," ელენე ხოშტარია-დროა" (ერთხელ) ჩართვაში.

გადაცემა **„თავისუფლების მონიტორი"** ჟურნალისტური გამოძიებაა, რომელიც დოკუმენტური ფილმის ფორმატია, „რადიო თავისუფლების" და „სტუდია მონიტორის" ერთობლივი ნამუშევარია და მთავარ არხზე გადის. ყველა ბრალდება, რომელიც გადაცემებში იყო წარმოდგენილი ეფუძნება გარკვეულ დოკუმენტაციას. ყველა ბრალდების ადრესატთან ჩაწერილი იყო ინტერვიუები და მათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცათ. ჟურნალისტი ცალკე აღნიშნავდა გადაცემაში იმ რესპოდენტებს, რომლებმაც უარი თქვეს ინტერვიუზე. გადაცემა „თავისუფლების მონიტორის" სიუჟეტებში შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს დაეთმო დრო: „საქართველოს მთავრობა" (ოთხჯერ), „ქართული ოცნება" (ოთხჯერ), „ადგილობრივი მთავრობა" (ერთხელ).

მონიტორინგის პერიოდში მთავარ არხზე ყოველკვირეულ რეჟიმში გადიოდა გადაცემა **„თქვენი ხმა",** სადაც საქართველოს ყველა რეგიონში ცალ-ცალკე ჩადიოდნენ ჟურნალისტები და რესპოდენტებს ეკითხებოდნენ გადაცემაში არსებული ინტერაქტივის კითხვას. ინტერაქტივის გარდა მაყურებელს შეუძლია დარეკოს გადაცემაში და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე.

გადაცემა „თქვენი ხმა" შემდეგ პოლიტიკური სუბიეტებს უთმობდა დროს: "გახარია-საქართველოსთვის" (ორჯერ), „ქართული ოცნება" (სამჯერ), „ნაციონალური მოძრაობა" (ორჯერ), „ელენე ხოშტარია- დროა" (ორჯერ) ანა დოლიძე-„მოძრაობა ხალხისთვის" (ერთხელ) „ლელო" (ერთხელ), „მესმე ძალა" (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში არხზე გადიოდა შემდეგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და გასართობი გადაცემები, რომლებსაც სტუმრობდნენ საარჩევნო სუბიექტები და პოლიტიკოსები.

„მთავარი მსოფლიოში“- გადაცემაში განიხილებოდა მსოფლიოში არსებული პრობლემები და საქართველოს საკითხი არსებული თემის ჭრილში.

გადაცემას „მთავარი მსოფლიოში“ სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: “ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ), “ელენე ხოშტარია-დროა“ (ერთხელ).

„ლიტერატურული სამკუთხედი“- გადაცემის სტუმარი იყო “გირჩი-მეტი თავისუფლება“-ს წარმომადგენელი.

„მხოლოდ ლელასთან“ - ამ გადაცემას სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: “ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ), „ელენე ხოშტარია-დროა“ (ერთხელ).

„შენი დილა“ - გადაცემამ შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს დაუთმო დრო: „ნაციონალური მოძრაობა“ (რვაჯერ), „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ), „ლელო“ (სამჯერ), „ელენე ხოშტარია- დროა“ (ერთხელ).

„მთავარი ბიჭები“-გასართობი შოუს სტუმრობდა „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ).

„ვანოს შოუ“ - გასართობი გადაცემის სტუმარი იყო პოლიტიკური პარტია “ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ).

„სადილი ქეთისთან“ - კულინარიული შოუ, გადაცემის სტუმრები იყვნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ), „ელენე ხოშტარია-დროა“ (ერთხელ).

„პუტკუნების კულინარიული მოგზაურობა“ - გადაცემის სტუმრობდა „ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მთავარი არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.


მთავარი არხი
33,6%
26,4%
8,6%
4,6%
4,6%
4,1%
3,8%
3,8%
2,1%
8,5%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ელენე ხოშტარია - დროა
გირჩი-მეტი თავისუფლება
ლელო
ევროპული საქართველო
ადგილობრივი მთავრობა
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება 79% 21%
ადგილობრივი მთავრობა 84% 16%
ნაციონალური მოძრაობა 30% 70%
საქართველოს მთავრობა 82% 18%
ლელო 46% 54%
ევროპული საქართველო 42% 58%
ელენე ხოშტარია - დროა 35% 65%
გირჩი-მეტი თავისუფლება 66% 34%
გახარია - საქართველოსთვის 75% 25%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
82%
18%
100%
100%
99%
1%
100%
24%
76%
11%
87%
2%
17%
83%
1%
28%
71%
გახარია - საქართველოსთვის
ვირჩი-მეტი თავისუფლება
ელენე ხოშტარია - დრო
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება





<u>წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები და რეკომენდაციები:</u>

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ 6 მაუწყებელზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ:

„საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე“ საინფორმაციო გამოშვებები ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით იყო განთავსებული, არ ჰქონდა ადგილი მიკერძოებულ და დაუბალანსებელ გაშუქებას, მათი სიუჟეტები და გადაცემები ამომრჩევლის ინფორმირებას ემსახურებოდა.

„რუსთავი 2“-ის ეთერში, მიუკერძოებლობა მეტ-ნაკლებად დაცული იყო, აქტიურად შუქდებოდა სხვადასხვა პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები, თუმცა „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებების გაშუქებას მნიშვნელოვნად მეტი დრო ეთმობოდა.

„ტელეიმედის“, „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ ეთერში გასული სიუჟეტები და გადაცემები აშკარად მიკერძოებული და დაუბალანსებელი იყო. ადგილი ჰქონდა ჟურნალისტური სტანდარტების უხეშ დარღვევებს.

„ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ გადაცემებში ისმოდა მძიმე ბრალდებები, რომლებიც არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით, ჟურნალისტების მხრიდან ადგილი ჰქონდა ირონიული და შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას. „მთავარი არხის“ შემთხვევაში იყო სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებიც.

შეგახსენებთ, რომ მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი მაგალითები მაუწყებელთა ქცევის კოდექსის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. მათზე რეაგირება და განხილვა, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში არის შესაძლებელი, ხოლო მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება არც კომუნიკაციების კომისიაში და არც სასამართლოში.

კომისიამ განიხილა 3 საჩივარი საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით:

კომუნიკაციების კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილი 2 „ევროპული საქართველოს“ და 1 „ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ, პოლიტიკური რეკლამის განუთავსებლობის თაობაზე. სამივე შემთხვევაში, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე.

2021 წლის 09 სექტემბერს გამართულ საჯარო სხდომაზე კომუნიკაციების კომისიამ ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ მიერ არჩევნების დროს „საარჩევნო კოდექსის“ დარღვევის საკითხი განიხილა. კერძოდ, კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „ობიექტივს“ სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. არხმა არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები სავალდებულო ინფორმაციის მითითების გარეშე გააშუქა, რითაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (შემგომში - საარჩევნო კოდექსი) 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი დაარღვა.

საარჩევნო სუბიექტები არაპოლიტიკურ გადაცემებში: კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის, ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილოების შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები, ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.